სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 28 დეკემბერი 2006 №301 (2923) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2007 იყავ ბედნიერი და გვიდიდე!

ახალი წელიწადი მოადგა საქართველოს, 2007. ამბობენ, ღორისა არისო. რა გითხრათ, შეიძლება არის კიდეც, მაგრამ ჩვენ ემაგ ჩინური ნიშნების ბევრი რომ არაფერი გაგვეგება?! ჩვენში კაცი უფრო იმას ინატრებს, ნეტავ ეს წელიწადი ჯანმრთელობის, მშვიდობის, გამარჯვების, სიუხვის, ქორწილების, გამრავლებისა და ნადიმებისა იყოსო, ღორობისა კი რა მოგახსენოთ. მაგრამ, გამოსულმა ხალხმა თქვა, არისო და... ჯობს, მაინც ფრთხილად ვიყოთ, ემანდ, ჩვენი უმეცრობით ღრუტუნას არ ვაწყენინოთ. იყოს, ბატონო, იყოს ეს წელინადი ღორისა, ჩვენ კი ახლაც და მომავალშიც ღმერთისად დავრჩეთ და უფალს მხარდაჭერა ვთხოვოთ. ეს მხარდაჭერა ხომ ასე ძალიან სჭირდება ჩვენს ერსაც და ბერსაც, ერში კი, ვფიქრობთ, სპორტსაც თავისი ალაგი უკავია.

ქართველებო, დარჩით ისეთები, როგორნიც ხართ!

ბადრი კეთილაძის ფოტო

ყველას დიდ ბედნიერებას და ოჯახის წევრების ჯარგად ყოფნას ვუსურვებ. მინდა, რომ საქართველოში იყოს მშვიდობა, რაც ამ დაძაბულ ვითარებაში ნამდვილად გჭირდებათ. ბედნიერი ყოფილიყოს ყოველი ქართველისთვის ახალი წელი. მინდა, გთხოვოთ: დარჩით ისეთები, როგორნიც ხართ – ძალიან ჯეთილები, ჯაცთმოყვარენი და თბილები. ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი ქართველი გავიცანი და გაოცებული ვარ – მე ჯერ ასეთ ხალხს არსად შევხვედრივარ...

მომდევნო „სარბიელი“ გამოვა 9 იანვარს

დიდ კლაუსს პატარა კლაუსი, ნიკოლაუსი და ქრისტლინდი ენატრება

გაოცებული ტოპმიოლერი: სხვა საქართველო არ არის!

ბაჩრი კვირკელიას ფოტო

სამი დღეც და, 2006 წელი ისტორიას ჩაბარდება...

და როგორ იწყებოდა ყველაფერი 362 დღის წინ? როგორ და, საქართველო კლაუს ტოპმიოლერს ელოდა — ცნობილი გერმანელი მწვრთნელი ნაახალწლევს ესტუმრა თბილისს და რამდენიმედღიანი მოლაპარაკების შემდეგ ქართველთა წინადადებას დათანხმდა.

კლაუს ტოპმიოლერი — ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ბოლო წლების ქართულ ფეხბურთში — ახლა გერმანიაშია და ჩვენც იქ დავუკავშირდით...

— თითქმის ერთი წელია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ხართ. რა შეცვალა ამან თქვენს ცხოვრებაში?

— ამ ერთმა წელმა ჩემთვის ძალიან საინტერესოდ და ბევრი სიახლით ჩაიარა. გამოგიტყდებით, ნამდვილად არ ველოდი, საქართველოში მუშაობისას ჩემთვის ამდენი უცხო და ახალი რამის გაკეთება თუ მოძიწვდა. თუნდაც იმით დავიწყოთ, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელს მიწევდა თითქმის ყველა ასაკობრივ გუნდთან მუშაობა, ვმონაწილეობდი როგორც სპონსორის მოძიებაში, ასევე სტადიონის აღდგენის საქმესა და ახალი ტექნიკის შეძენაშიც კი. ეს ყველაფერი სხვა ქვეყნებში ნამდვილად არ ევალებათ მწვრთნელებს და არც მე გამიკეთებია მსგავსი რამ მანამ, სანამ თქვენს ქვეყანაში არ ჩამოვედი. მე არა მხოლოდ ფეხბურთელთა სტადიონზე გაყვანა მევალებოდა, არამედ ყველა საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო დეტალის მომზადებაში ვმონაწილეობდი. საქართველოში მუშაობა სხვანაირ გარემოში ხდება და აქ ჩვეული სტილი არ გამოგადგება — ყველა ამ ცვლილებამ კი ჩემი მუშაობა ძალიან საინტერესო და სასიამოვნო გახადა.

— და როგორი იყო თქვენთვის 2006 წელი?

— დავიწყოთ იმით, რომ წლის დასაწყისშივე ძალიან საინტერესო შემოთავაზება მივიღე და გავხდი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი — ეს ჩემთვის იყო არა ფინანსურად, არამედ წმინდა პროფესიული თვალსაზრისით საინტერესო წინადადება. რაც შეეხება თქვენს ქვეყანაში ჩემ საქმიანობას, გეტყვით, რომ ფიფას კალენდრით სულ რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩატარება შევძელით, რომელთა შედეგებითაც ნამდვილად ვერ დავიკვეხნით, თუმცა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონსა და ვიცე-ჩემპიონს ნამდვილად ღირსეულად დავხვდით. წლის ბოლო მატჩში კი ლამაზ გამარჯვებასაც მივაღწიეთ. ბედის უკუღმართობით, ვერც ერთი თამაშისთვის ვერ შევძელით სრული შემადგენლობის შეკრება. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ყოველივე ძველ წელში დარჩება და ახალ წელს მეტოქეებს ოპტიმალური შემადგენლობით ვეთამაშებით.

— კიდევ რისი დატოვება გსურთ ძველ წელში?

— როგორც პროფესიონალს, ძალიან მინდა, 2006 წელს დავუტოვო ქართული ფეხბურთის წარუმატებლობა, ხოლო როგორც უბრალოდ კლაუს ტოპმიოლერს, მსურს, სიგარეტს თავი დავანებო. ძალიან მინდა, ეს მავნე ჩვევა ძველ წელს გავატანო.

— სად აპირებთ საშობაო და საახალწლო არდადეგების გატარებას?

— შობას მთელი ოჯახი შენ შევხვდებით. ამის მიზეზი ჩემი უმცროსი ვაჟი ტონია, რომელიც 28 დეკემბერს 18 წლის ხდება. გადაწყვეტილი გვაქვს, მისი დაბადების დღე ძალიან დიდი წვეულებით აღვნიშნოთ მეგობრებისა და ნათესავების ფართო წრეში.

— საჩუქრები თუ შეიძინეთ ოჯახის წევრებისთვის?

— რამდენიმე საჩუქარი უკვე ვიყიდე. ისეთი დატვირთული დღეები მქონდა, რომ ყველაფრის მოგვარება ვერ მოვასწარი.

— საქართველოში ბავშვებს თოვლის ბაბუის სჯერათ, რომელსაც ახალი წლის ღამეს მათთვის საჩუქრები მოაქვს, გერმანიაში კი შობა დღეს ქრისტლინდს მოაქვს საშობაო ნაძვის ხე და საჩუქრები. ბავშვობაში თქვენც გჯეროდათ ამის?

— რა თქმა უნდა, ჩემი მშობლები გვარწმუნებდნენ ამაში. ასევე მჯეროდა ნიკოლაუსის, რომელიც 6 დეკემბერს მოდის ბავშვებთან, აქებს მათ, მიუთითებს შეცდომებზე და მოუწოდებს გამოსწორებისკენ. ბავშვობაში ხშირად ვაკეთებდი რაღაცას იმის გამო, რომ შემდეგ ნიკოლაუსის ქება დამემსახურებინა. ეს ყოველივე პატარებისთვის დიდი სტიმულია.

— ანუ თქვენც არწმუნებდით თქვენს შვილებს ქრისტლინდისა და ნიკოლაუსის არსებობაში?

— ჩემს შვილებსაც სჯეროდათ, რომ ნიკოლაუსი მთელი წლის განმავლობაში აკვირდებოდა მათ ქცევას, ან თუნდაც ის, რომ სასტუმრო ოთახში მდგარი ნაძვის ხე ქრისტლინდმა მოიტანა ჩუმად. ეს ხომ ძალიან ლამაზი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში.

— გენატრებათ ის დრო, როცა თქვენი შვილები პატარები იყვნენ?

— ძალიან მენატრება მათი აციმციმებული თვალები, როცა განათებული ნაძვის ხის ძირში ჩამსხდარნი საჩუქრებს ხსნიდნენ — ეს მართლაც საოცარი და ულამაზესი სანახაავი იყო. ის დროც მენატრება, როცა მე ვიყავი ბავშვი, მჯეროდა ზღაპრების და უზრუნველი ცხოვრება მქონდა.

— რა იყო თქვენთვის ყველაზე გამორჩეული და დასამახსოვრებელი საჩუქარი?

— ცხრა წლის ვიყავი, როცა შობას საყვირი მაჩუქეს — ძალიან კარგად ვუკრავდი და მუსიკალურ ჯგუფშიც ვმეცადინეობდი. 18 წლის რომ გავხდი, მშობლებმა დაბადების დღეზე მანქანა მაჩუქეს. ამ საჩუქარმა მაშინ ძალიან გამახარა, რადგან ვსწავლობდი და ჯერ კიდევ არ შემეძლო საკუთარი სახსრებით ავტომობილის ყიდვა.

— ტონიც მიიღებს თავის მეთვრამეტე დაბადების დღეზე მშობლებისგან ავტომანქანას?

— რა თქმა უნდა. ეს იქნება ნახმარი მანქანა — ის ჯერ ახალგაზრდაა, უნდა ისწავლოს და ნამდვილად არ სჭირდება საუკეთესო მარკის ბოლო მოდელი.

— თქვენს კარიერაში ხშირად გაგიკეთებიათ სიურპრიზები ფეხბურთელებისთვის, თუნდაც ფრანკფურტის „აინტრახტში“ მუშაობისას გასახდელში შეყვანილი არწივი გავიხსენოთ. ცხოვრებაშიც გიყვართ სიურპრიზები?

— სიურპრიზები ნამდვილად მიყვარს, მაგრამ მხოლოდ სასიამოვნო და არა ისეთი, როგორიც თითქმის ყველა მატჩის წინ მოგვიწყო ბედისწერამ საქართველოში — ბევრ ტრავმირებულ ფეხბურთელს ვგულისხმობ. ალბათ საქართველოში ჩემი წამოსვლაც სიურპრიზი იყო ბევრისთვის. საერთოდ, გადაწყვეტილებებს სწრაფად ვიღებ, თუმცა იმპულსური არ ვარ. ვაკეთებ მხოლოდ იმას, რაც ვიცი, ან მჯერა, რომ ეს საქმე გამომივა.

— ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელი შობა-ახალი წელი რომელი იყო თქვენს ცხოვრებაში?

— ეს იყო ზუსტად თვრამეტი წლის წინ, როცა ჩემი უმცროსი ვაჟი დაიბადა — ეს იყო საუკეთესო საახალწლო საჩუქარი როზისგან.

— რას ისურვებდით 2007 წელს?

— უპირველესად, ვისურვებდი ჯანმრთელობას, როგორც ჩემი ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის, ასევე თითოეული ადამიანისთვის. ვისურვებდი, რომ იყოს მშვიდობა და ყოველ ადამიანს შეეძლოს ბედნიერად ცხოვრება. ვისურვებდი, რომ ჩემი საქმიანობა თქვენს ქვეყანაში კიდევ უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს — შევძლო იმ დიდი ნდობის გამართლება, რაც ქართველებმა გამომიცხადეთ.

— და ერთიც: შეგიძლიათ, ჩვენი გაზეთის საშუალებით ქართველ ხალხს შობა-ახალი წელი მიულოცოთ...

— ყველას დიდ ბედნიერებას და ოჯახის წევრების კარგად ყოფნას ვუსურვებ. მინდა, რომ საქართველოში იყოს მშვიდობა, რაც ამ დაძაბულ ვითარებაში ნამდვილად გჭირდებათ. ბედნიერი ყოფილიყოს ყოველი ქართველისთვის ახალი წელი. მინდა, გთხოვოთ: დარჩით ისეთები, როგორნიც ხართ — ძალიან კეთილები, კაცთმოყვარენი და თბილები. ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი ქართველი გავიცანი და გაოცებული ვარ — მე ჯერ ასეთ ხალხს არსად შევხვედრივარ.

ნინო სილაგაძე
კახა შალამბერიძე

ზელიჩი სურვილმა თბილისში ჩამოიყვანა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა და „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშს შეუდგა 35 წლის ავსტრალიელი მცველი ნედ ზელიჩი. ის გუნდს 2 იანვარს ბაკურიანში, შემდეგ კი ანთალიურ შეკრებაზე გაჰყვება და, ალბათ, სწორედ მაშინ გადაწყდება, დარჩება თუ არა „დინამოში“. ჯერჯერობით კი ზელიჩი დიღმის ბაზაზეა და კლუბის ხელმძღვანელობისთვის თავის მოწონებას ცდილობს. როგორ გამოუვა ეს საქმე, ამას დუშან უჭრინი იტყვის, რომელიც პრაღიდან თბილისში ღღეს დაბრუნდა.

„ნედ ზელიჩს დიდი სურვილი აქვს, „დინამოში“ ითამაშოს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თავად ისურვა გუნდს ანთალიურ შეკრებამდე შეერთებოდა და თბილისშიც და ბაკურიანშიც „დინამოსთან“ ევარჯიშა. ბუნებრივია, კლუბიც დაინტერესებულია, თავის რიგებში იხილოს გამოცდილი ფეხბურთელი, რომელსაც ძალიან მდიდარი და ნაყოფიერი საკლუბო და სანაკრებო კარიერა აქვს. დუშან უჭრინს კი საკმარისი დრო ექნება საიმისოდ, რომ ყურადღებით დააკვირდეს ამ ფეხბურთელს, მის დღევანდელ სათამაშო კონდიციებს და საფეხბურთო მოტივაციას. თავად ზელიჩიც ამ პერიოდში უკეთ მოახერხებს ადაპტირებას გუნდთან და მისთვის ახალ გარემოსთან“ — გვითხრა გუშინ „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა გიგა გვენცაძემ.

ბაკურიანმოვლილი „დინამო“ ანთალიაში 10 იანვარს გაემგზავრება, სადაც სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ჩვენების მეტოქეები, სავარაუდოდ, გროზნოს „ტერეკი“, ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ და „ხარკოვი“ იქნებიან. „დინამო“ ანთალიაში 20 იანვრამდე დარჩება, შემდეგ ვარჯიშს თბილისში განაგრძობს და თებერვალში, მზადების მესამე ეტაპზე, ისევ თურქეთში დაბრუნდება.

კობა ინასარიძე

ბენდელას თასი
ნახევარფინალი
რუბიკონი 4:0 ოგც
ლუკა 1:2 აფხაზეთი

ბავშვთა ტურნირი
ნახევარფინალი
ნორჩი სიონი 1:1 (4:3პ) 35-ე სკოლა-1
35-ე სკოლა-2 1:0 ლოკომოტივი

ინგლისი
პრემიერლიგა. XX ტური
ჩარლტონი 2:2 ფულემი

შოტლანდია
პრემიერლიგა. XXI ტური
ინვერნესი 2:1 რეინჯერსი

ჰოლანდია
ერედივიზიონი. XIX ტური
დენ ჰაააგი 1:1 ვალვაიკი
ტვენტე 3:0 ალკმაარი
უტრეხტი 0:0 ჰერაკლესი
ბრედა 2:1 ვიტესი
ნაიმეგენი 0:2 ჰერენვენი
აიაქსი 2:0 როდა

ზოგ ქვეყანაში ფეხბურთი ლამის რელიგიის დონეზეა, საქართველოში კი, გადაჭარბებად რომ არ ჩაგვეთვალოს, ასე ვიტყვით — ფეხბურთი ძალიან უყვართ.
მერე რა, რომ უჭირს; მერე რა, რომ მოგებები გვენატრება; მერე რა, რომ ისევ 1981 წლის 13 მაისით ვტკბებით; მერე რა, რომ ყიფიანისებური ფილიგრანული პასები, ვოვა გუცაევის „პად სებიები“, თენგიზ სულაქველიძის ლომგულიანი თამაში ძვირი სანახავი გაგვიხდა.
ცნობილი მომღერალი **მერაბ სეფაშვილი** ამაოდ არ აგვირჩევია საახალწლო რესპონდენტად. ერთია, ფეხბურთი გიყვარდეს და მეორეა, ფეხბურთი ძალიან გიყვარდეს — სეფაშვილს ძალიან უყვარს...


ბაჩო კალანდარიშვილის ფოტო

მერაბ სეფაშვილი: მინდა, იყოს ფეხბურთი!

— როგორც თითქმის ყველა ბავშვი, ალბათ, თქვენც აგორებდით ეზოში ბურთს...

— და არცთუ ცუდად. რაც მთავარია, ძალიან მიყვარდა ფეხბურთი, ნორმალურადაც ვთამაშობდი. თანაც, უმცროსი მიშა მესხი და ვაჟა არქანია ჩემი კლასელები იყვნენ.

— ვიცით, რომ რამდენიმე ფეხბურთელთან მეგობრობთ კიდეც...

— დიახ. ქინქლაძე, ნემსაძე, ძმები არველაძეები და კიდევ სხვებიც, ჩემი მეგობრები არიან. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს...

— ორიოდ წლის წინ თქვენ და „ქუჩის ბიჭებმა“ საქართველოს ნაკრებს სიმღერა მიუძღვენით. საიდან წამოვიდა ეს იდეა?

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ რუსეთის ნაკრებთან თამაშის წინ გვთხოვა და ჩვენი სიმღერა ფეხბედნიერიც გამოდგა — იმ მოგებით ხომ მთელმა ქართველმა ერმა ძალიან გაიხარა.

— თბილისის „დინამოს“ თამაშებზე ხშირად გხედავდით ხოლმე... ეროვნულ ჩემპიონატს ახლაც ესწრებით?

— როცა თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობაში ჩემი ახლო მეგობრები, დავით პეტრიაშვილი და კახა ჭუმბურიძე იყვნენ, დინამოელთა თითქმის არც ერთ თამაშს არ ვტოვებდი.

— ქართველი ფეხბურთელებიდან ვისი თამაში მოგწონთ?

— რამდენიმე მართლაც კარგი ფეხბურთელი გვყავს. ჩემი აზრით, შოთა არველაძე ამჟამად საუკეთესოა. მალხაზ ასათიანიც ძალიან ჭკვიანი და ტექნიკური ფეხბურთელია — დარწმუნებული ვარ, როდესაც გრანდში გადავა, საქართველოში ნომერ პირველი მოთამაშე გახდება.

— ქართული ფეხბურთის აღორძინების იმედი გაქვთ?

— ღმერთმა ნუ მოგვიშალოს იმედი, მაგრამ ამ ეტაპზე სერიოზულ პერსპექტივას ვერ ვხედავ. ვფიქრობ, ბავშვთა სკოლებია შესაქმნელი და საერთოდაც, ბავშვებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეთ. მე არ ვარ ამ საქმეში კომპეტენტური და დეტალურად ვერ ვილაპარაკებ. იმედია, ფეხბურთის წინსვლაზე ისინი მუშაობენ, ვისაც ეს საქმე ეხება. ეროვნულ ჩემპიონატში კარგი თამაშები რომ იქნება, მერე გულშემატკივარიც ივლის სტადიონზე. მოკლედ, რაღაც რომ შესაცვლელია, ეს ფაქტია.

— საინტერესოა, უცხოეთის რომელი ნაკრების თამაშს გამოარჩევთ?

— ბრაზილიის. მარადონა და ზიდანი აღარ თამაშობენ და სადღესოდ უძლიერესად რონალდინიო მიმაჩნია — ძალიან ლამაზად თამაშობს, არ შეიძლება, მისი მანერა არ მოგეწონოს.

— რას უსურვებდით 2007 წელს ქართულ ფეხბურთს?

— გამარჯვებებს და წინსვლას. საქართველოში ფეხბურთი უყვარდათ და ეყვარებათ, მაგრამ გამარჯვებები კიდევ უფრო დამუხტავს ხალხს. „სარბიელსაც“ ზუსტად ამას ვუსურვებ: სულ გამარჯვებებზე გეწეროთ, როგორც ფეხბურთში, ისე სპორტის სხვა სახეობებში.

ნუკრი ლოლაძე



ბაკის ადამია გოგობერიშვილი

ორიოდ დღის წინ გამცნეთ, რომ ბაქოს „ნეფთჩის“ საუკეთესო ფეხბურთელად გიორგი ადამია დაასახელეს და ასეთივე პატივი ერგო „ბაკის“ ნახევარმცველ ალეკო გოგობერიშვილსაც.

„გოგობერიშვილი „ბაკში“ 2005 წლის იანვრიდან თამაშობს და შეუძლებელია, გავიხსენოთ შეხვედრა, სადაც მან სუსტი შთაბეჭდილება დატოვა. საშა ნამდვილი უნივერსალია, კარგად ირჯება როგორც ნახევარდაცვის ფლანგზე, ასევე თავდამსხმელების უკან, მაგრამ მისი ნამდვილი ამპლუა საყრდენი ნახევარმცველობაა. 29 წლის ფეხბურთელი გამოცდილების წყალობით კარგად კითხულობს თამაშს, გამირჩევა შესანიშნავი პასებით და არცთუ იშვიათად გაქვს გოლი. გოგობერიშვილს საქართველოს ნაკრებში რამდენიმე შეხვედრა აქვს ჩატარებული, თუმც ბოლო დროს არ ენდობიან. თუმცა საქართველოში უკვე ფიქრობენ გოგობერიშვილის ნაკრებში დაბრუნებაზე“ — წერს აზერბაიჯანული ვებგვერდი.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტები წლის ყველაზე გაუმართლებელ მოვლენად პატ ბანგურის და გიორგი მეგრელაძის ტრანსფერებს თვლიან.

„ბანგურიში გადახდილი 40 000 დოლარი გადაყრილად უნდა ჩავთვალოთ. ფეხბურთელმა იმედები ვერ გაამართლა, ისევე როგორც ქართველმა გიორგი მეგრელაძემ, რომელმაც განსაკუთრებით სუსტად ითამაშა თანამემამულეების, ბოლნისის „სიონის“ წინააღმდეგ. სწორედ ამის გამო ვერ გაიტანა გუნდმა იმდენი გოლი, რამდენიც იქნებოდა საჭირო ასეთი სუსტი ქართული გუნდის დასამარცხებლად“ — აღნიშნულია იმავე ვებგვერდზე.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ორი ქართველი ერთ კარში

გუშინდელი „სარბიელიდან“ შეიტყობდით, რომ საქართველოს ნაკრების მეკარეს გიორგი ლომაიას ახალი კლუბის რამდენიმე ვარიანტი აქვს და მის საქმეებს ანდრეი ჩერვიჩენკო აგვარებს. „ლუჩ-ენერგიამ“, სადაც ქართველ მეკარეს ისედაც საკმაო კონკურენცია ჰქონდა რომან გერუსთან, ჩეხეთის ნაკრების მეკარე მარეკ ჩეხი შეიძინა.

თუმც ვლადივოსტოკელთა მადა ამით სულაც არ დაკმაყოფილებულა და ნალჩიკის „სპარტაკის“ ქართული წარმოშობის მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძის გადაბირებასაც აპირებს.

ასეთ კონკურენციაში გიორგი ლომაიას სათამაშო დრო, ალბათ, კიდევ უფრო შეიზღუდება და, როგორც ჩანს, იგი გუნდს გამოიცვლის.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სალიმილო ამბები

სამიოდ წლის წინ საჩხერის „ჩიხურა“ ვეტერანი ფეხბურთელებით იყო გაძეძგილი და ერთხელაც ამით „შეშფოთებულმა“ „ჩიხურას“ თავდამსხმელმა დავით გოდერძიშვილმა თავისი გუნდი ასე დაახასიათა:

— რა უმაღლესში გადასვლა, გასახდელში რომ შევდივარ, პირჯვარს ვიწერ, მეშინია, ვინმე მკვდარი არ დამხვდესო...

⚽ ⚽ ⚽

ვისთვის როგორია სიმღიდრე, ვისთვის რამდენით იზომება...

აი, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ შეკრებაზე „მილანის“ კახა კალაძემ დააცემინა და „ზესტაფონის“ ზურაბ იონანიძემ, სტოტიშიო, უსურვა...

⚽ ⚽ ⚽

გორის „დილას“ ფინანსურ გაჭირვებაზე უკვე იმდენი „ნეკროლოგი“ გამოვაცხვეთ, ერთი გაზეთი ნაღდად დაიტევდა.

არადა, ერთ-ერთ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „დილას“ თავკაცმა რევაზ მამესწარაშვილმა თქვა, ცოტას ამოვისუნთქებთ, კვების რაციონში ქათმის ხორცი დაგვიმატესო...

⚽ ⚽ ⚽

ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა ფეხბურთელმა უცხოურ კლუბში პირველი ხელფასით ძვირი დახეული ჯინსი იყიდა. თბილისში ჩამოსულს კი ბებიამ ამოუკემსა — ეს როგორ დაგხევია შვილოო...

⚽ ⚽ ⚽

საქართველოს ნაკრები თბილისში ერთ-ერთი მატჩისთვის ემზადებოდა. უჩვეულოდ გრძელთმიანი გიორგი ქინქლაძე ოდნავ მოგვიანებით პირდაპირ ვარჯიშზე შეუერთდა გუნდს და მაშინვე შოთა არველაძის „დინირამბები“ მიიღო — რა იყო, გიო, ბარემ, გიტარაც წამოგელოო...

⚽ ⚽ ⚽

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მოთამაშე მეგობრებთან ერთად რესტორანში შევიდა.

ბიჭებმა ოფიციანტს უთხრეს, მენიუ მოგვიტანეო, ამან კი... მე მენიუ კი არა, შემწვარი კარტოფილი მინდაო...

⚽ ⚽ ⚽

ჭიათურის „მაღაროელი“ მილიონერების გუნდი როდის ყოფილა, სულ გაჭირვებაში და ვაებაშია, ბიჭებს ხელფასი და პურის ფული ენატრებათ.

ერთ-ერთი მატჩისას „მაღაროელის“ ფეხბურთელმა ვასილ ჩიქვილაძემ მცირე ტრავმა მიიღო, თანაგუნდელმა ექიმს შესძახა, წყალი მოუტანეთო. ჩიქვილაძემ კიდევ... წყალი კი არა, პური მომიტეხეთო...

⚽ ⚽ ⚽

მადრიდის „რეალი“ ახალი წლიდან ორი არგენტინელით, ფერნანდო გაგოთი და გონსალო იგუაინით გაძლიერდება. ძლიერდება თელავის „კახეთიც“...

კერძოდ, „კახეთის“ მწვრთნელმა ვასილ არუდაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, სამი ფეხბურთელით ეძლიერდებით „ყვარელიდან“, ისინი ჩვენგან განათხოვრებით იყვნენ წასულნი და გვიბრუნდებიანო.

წლის თორმეტი ნოველა

იანვარი

2006 **წლის** 9 იანვარს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თავის ისტორიაში ყველაზე ხმაურიანი კონტრაქტი გააფორმა — ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გახდა.

ხელშეკრულებას სასტუმრო „თბილისი მარიოტში" მოეწერა ხელი, რის შემდეგაც ტოპმიოლერი და ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს სახელმწიფო კანცელარიაში ეწვივნენ. ვიზიტი მხოლოდ სიმბოლური არ ყოფილა — ტოპმიოლერის ჯამაგირისთვის ფულს ხომ, ფაქტობრივად, სახელმწიფო იხდის.

ფედერაცია-ტოპმიოლერის კონტრაქტის ღირებულება საქართველოში ოფიციალურად არ გახმაურებულა, მაგრამ ის დაახლოებით სამი მილიონი დოლარი ჯდება ორ წელიწადში — ტოპმიოლერმა ფედერაციასთან 2+2 წლით გააფორმა ხელშეკრულება.

კონტრაქტის გაფორმებიდან თორმეტ დღეში ევრო 2006-ის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართა და განგებამ საქართველოს ნაკრებს ჯგუფში ლოდები ჩაუყარა — საფრანგეთი და იტალია, კიდევ უკრაინა, შოტლანდია, ლიტვა და ფაროერები.

თბილისის „დინამოს" მწვრთნელობიდან კახა ცხადაძე დაითხოვეს და მის ნაცვლად რუს ანდრეი ჩერნიშოვს უხმეს. გაფორმდა თექვსმეტთვიანი კონტრაქტი, თუმც ჩერნიშოვს ხელშეკრულების დამთავრებამდე, მაისში მოუწია საქართველოდან წასვლამ.

განსორციელდა კიდევ ორი, ასე თუ ისე, საინტერესო ტრანსფერი — მეორე ბუნდესლიგის აუეში დავით სირაძე ჩაირიცხა, ხოლო გიორგი დემეტრაძე ვლადიკავკაზის „ალანიადან" თელ ავივის „მაკაბიში" გადავიდა.

თებერვალი

ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად დაინიშნა, რითაც ჭერ კლაუსმა ჩვენი ყველა ნაკრების ერთიან სისტემაში მოქცევა დაიწყო.

ვიტჯორჯიელი ოთარ მარცვალაძე კიევის „დინამოს" ფეხბურთელი გახდა, ხოლო რუსული პირველი დივიზიონის „ხიმკიდან" გოგიტა გოგუა რუსული პრემიერლიგის „ნალჩიკში" გადავიდა — ორივე ტრანსფერი საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოდგა.

თვის ბოლოს საქართველოს ეროვნული ნაკრები მალტის ტურნირზე გაემგზავრა, მაგრამ არა ტოპმიოლერის შერჩეული ფეხბურთელებით — მოთამაშეების სია და მათი ვიზები ჯერ კიდევ 2005 წელს იყო დაჯავშნული. მალტაზე საქართველომ ჯერ იქაურ „ჰიბერნიანსთან" წააგო 0:1, მერე მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან 1:5, არადა, საქართველოს ნაკრებში მოლდოვასთან რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა ითამაშა... ბოლო მალტურ მატჩში საქართველომ მალტას 2:0 მოუგო.

თბილისის „დინამოდან" წასულმა კახა ცხადაძემ იმ დროისთვის ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე მყოფი ბოლნისის „სიონი" ჩაიბარა.

გაიხსნა კახა კალაძის გატაცებული და მერე გარდაცვლილი ძმის ლევან კალაძის საქმე.

მარტი

ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრებს პირველი ამხანაგური მატჩი ათამაშა — ტირანაში ალბანეთს დაუპირისპირდა და მიუხედავად უპირატესობისა, ნულოვან ფრეს გამორჩა. ისიცაა, რომ გოგუას გაძევების გამო საქართველოს ნაკრები ბოლო ოცი წუთი კაცნაკლული იყო.

მატჩი 22 მარტს გაიმართა, რაც ფიფას დღე არ იყო და ტოპმიოლერმაც ამის გამო ვერ მოუყარა თავი უძლიერეს შემადგენლობას. წინა დღეს კი მინგეს გაწვრთნილმა 21-წლამდელებმა ალბანელ თანატოლებთან 1:2 წააგეს.

ავსტრიული „შტურმიდან" წამოსული დავით მუჯირი რუსული „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელი გახდა.

ეროვნულ ჩემპიონატში ჩემპიონობისთვის მებრძოლი სამი გუნდი გამოიკვეთა — „ვიტ ჯორჯია", „სიონი" და „დინამო".

აპრილი

თვის დასაწყისში „ბათუმის" მრავლისმნახველმა თავკაცმა ოთარ გაბელიამ „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონი „სიონი" გახდებაო. მაშინ ბოლნისელები მეორე ადგილზე იყვნენ, მაგრამ მალე პირველზეც აინაცვლეს, თვის ბოლოს კი უახლოეს მდევარ „ვიტ ჯორჯიას" შინ 1:0 მოუგეს და მასთან სხვაობა ექვს ქულამდე გაზარდეს — „სიონი" უკვე თითქმის ჩემპიონი გახდა.

ინგლისურმა „ბლექბერნმა" შოტლანდიურ „რეინჯერსს" გამოსასყიდი თანხა გადაუხადა და მანამდე იჯარით მოთამაშე ზურაბ ხიზანიშვილს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ისე გამოვიდა, რომ „რეინჯერსმა", ფაქტობრივად, ჩალის ფასად დაუთმო 24 წლის ქართველი მარკ ჰიუზის გუნდს.

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საკვალიფიკაციო რაუნდში მალტას შინაც და სტუმრადაც 2:1 მოუგო.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქუთაისსა და ბათუმში ზედიზედ ორჯერ დაესწრო ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს.

ამასობაში ტოპმიოლერი დაწვრილებით ინფორმაციას აგროვებს ნაკრების წამყვან ფეხბურთელებზე და საამისოდ ჰოლანდიაშიც ჩავიდა „ალკმაარის" თავკაც ლუის ვან გაალთან სასაუბროდ.

მაისი

„სიონი" პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. „დინამოს", „ტორპედოს" და „ვიტ ჯორჯიას" შემდეგ მეოთხე გუნდი შეიქნა, ასეთ წარმატებას რომ მიაღწია.

უმაღლეს ლიგაში ახალაღზევებულმა თბილისის „ამერმა" საქართველოს თასი მოიგო. „ამერი" — „ზესტაფონი" დიდებული ფინალი გამოდგა, მატჩის წინ შოუმენი დუტა დაეშვა ვერტმფრენიდან — ასე დაიწყო ზეიმი, რომელიც მატჩისშემდგომი პენალტებით და „ამერის" გამარჯვებით დასრულდა.

უმაღლეს ლიგაში ადგილის მოსაპოვებლად პლეი ოფში ერთმანეთს „ცხინვალი" და „გაგრა" გადაეყარნენ და ისეთი ჯგუფური ჩხუბი ატყდა, 22 ფეხბურთელი „ცხინვალის" კარის ბადეში იყო გახვეული — ასეთი ორიგინალური ჩხუბი საქართველოს ჩემპიონატის თუ თასის გათამაშებაში მანამდე არ მომხდარა.

როგორც იქნა, ტოპმიოლერმა თავი მოუყარა ნაკრების უძლიერეს შემადგენლობას და თვის ბოლოს გერმანია-ავსტრიაში ორი ამხანაგური მატჩი გამართა — საქართველო ახალზელანდიელებთან 1:3 დამარცხდა, ხოლო პარაგვაისთან 0:1. „სარბიელთან" ინტერვიუში ტოპმიოლერი დაგეგმირდა, მომდევნო მატჩს საქართველო მოიგებსო.

ივნისი

„სარბიელის" ტრადიციული გამოკითხვით, რომელშიც ფეხბურთზე მომუშავე სპორტული ჟურნალისტები მონაწილეობენ, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი კახა კალაძე გახდა, მეორე ადგილზე ლევან კობიაშვილი გავიდა, მესამეზე შოთა არველაძე. საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მობურთალი კი ოთარ მარცვალაძე შეიქნა, რომელმაც სეზონის მხოლოდ პირველი ეტაპი ითამაშა საქართველოში და მერე კიევის „დინამოში" წავიდა...

შეიქმნა საქართველოს ეროვნული ნაკრების ფანკლუბი და კლიპი — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ" — ორი მაროლაც კარგი საქმე გაკეთდა.

ფაქტობრივად გადაწყდა ვიტჯორჯიელი დავით იმედაშვილის კიევის „დინამოში" გადასვლა.

ივლისი

ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე თბილისის „დინამო" იოლად გაუსწორდა სომხურ „კილიკიას", მერე კი ავსტრიულ „რიდთან" ორჯერ დამარცხდა (1:3, 0:1) და ტურნირს გამოეთიშა.

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯიამ" დიდი ბრძოლა გაუმართა სლოვაკურ „არტმედიას", თუმც ორი მატჩის ჯამში დამარცხებული აღმოჩნდა — 0:2, 2:1.

ამავე ტურნირზე „ამერმა" სომხურ „ბანანცს" მოუგრიხა კისერი — 0:1, 2:1 და წილისყრამ მომდევნო ეტაპზე ბუნდესლიგური „ჰერტა" გამოუწერა.



გაფარი კიევლაძის ფოტო

წლის თორმეტი ნოვემბერი

ბაბრი ჯეიოლაძის ფოტო

„სიონმა“ აზერბაიჯანის ჩემპიონი „ბაკი“ გაიარა — 2:0, 0:1 — მეტოქე, რომლის წლიური ბიუჯეტი 5-6 მილიონი დოლარია. ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კი ბოლნისელები ბულგარეთის ჩემპიონ „ლევსკის“ შეხვდნენ და სტუმრად 0:2 წააგეს.

რალფ მინგეს რეკომენდაციით მოსკოვის „ლოკომოტივის“ მეორე გუნდიდან მათე ღვინიანიძემ მეორე ბუნდესლიგის „მიუნხენ 1860“-ში ამოყო თავი და მწვრთნელ ვალტერ შახნერის მოწონება და კონტრაქტი დაიმსახურა.

ლევან ცქიტიშვილი „ვოლფსბურგიდან“ ბერძნულ „პანიონიოსში“ გადავიდა.

ფეხბურთის ფედერაციამ უცხოელი მეკარის ნატურალიზაცია განიზრახა. მოგვიანებით დაიწყო მოლაპარაკება „ნალჩიკის“ მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძესთან.

თვის ბოლოს დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი — გუნდების რაოდენობა 16-დან 14-მდე შემცირდა.

აგვისტო

„სიონი“ „ლევსკისთან“ შინაც 0:2 დამარცხდა, „ამერმა“ კი ბეწვის ხიდზე გაატარა ბერლინის „ჰერტა“ — გერმანიაში მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაუშვა გოლი და 0:1, თბილისში კი ორჯერ უგებდა ბუნდესლიგელს, მაგრამ მხოლოდ ფრეს გამორჩა — 2:2 და ამით ქართული გუნდები წლევანდელ ევროსარბიელს გამოეთიშნენ.

ბაბრი ჯეიოლაძის ფოტო

ვერ მოხერხდა რუსეთის მოქალაქე ჩიხრაძის ნატურალიზება, რადგან სხვა რამეების გარდა ასეთ შემთხვევაში ჩიხრაძე რუსეთის ფედერაციის სოციალური შეღავათებითაც ვეღარ ისარგებლებდა.

შოთა არველაძემ უარი თქვა ესპანური პრემერადივიზიონის „ლევანტეში“ გადასვლაზე და „ალკმაართან“ 2008 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი.

...და ტოპმიოლერის ოფიციალური დებიუტიც — ევრო 2008-ის შესარჩევის პირველ შეხვედრაში საქართველომ ფარერებს სტუმრად 6:0 მოუგო, არველაძემ მეორე სანაკრებო ჰეთ თრიქი შეასრულა.

სექტემბერი

2 სექტემბერს საქართველოს ნაკრებმა ევრო 2008-ის მეორე მატჩი გამართა და საფრანგეთთან 0:3 წააგო. საამმატჩოდ გაიხსნა გარემონტებული და გალამაზებული ეროვნული სტადიონი, თუმც გარკვევით ვერავინ ამბობს, შეუძლია თუ არა ჩვენს უპირველეს არენას ჩემპიონთა ლიგის მატჩების მომსახურება, ან, მაგალითად, უეფას თასის ფინალის მასპინძლობა. არადა, სტადიონის რეკონსტრუქციისთვის ბიზნესმენმა გოჩა ძასოხოვმა არაერთი მილიონი დოლარი დახარჯა.

საფრანგეთთან მატჩის წინ ბილეთების შეძენისას გულშემატკივრებს პრობლემები შეექმნათ და პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ასეთი განცხადებაც კი გააკეთა: „გადაეცით ახალკაცს, თავს ბოლომდე ნუ მოიჭრის“.

ოთხ დღეში საქართველო კიევში უკრაინასთან დამარცხდა 2:3, არადა, წასაგები თამაში არამც და არამც არ იყო.

„დინამომ“ მწვრთნელად დუშან უპრინს უხმო — 1996, წელს ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელობისას ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მომნაგრებელს.

სადისციპლინო კომიტეტმა ბოლნისის „სიონის“ მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძეს 2007 წლის 31 მაისამდე აუკრძალა მწვრთნელობა.

ოქტომბერი

საქართველოს ნაკრებმა თვე გერმანიასთან ამხანაგური მატჩით დაიწყო — იოახიმ ლიოვის გუნდთან 0:2 დამარცხდა, ოთხი დღის შემდეგ კი შესარჩევ ციკლში ზედიზედ მესამე მატჩი წაგო — იტალიამ თბილისში 3:1 დაამარცხა ტოპმიოლერის გუნდი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონთან ტრავმიანობის და დისკვალიფიკაციების გამო ექვსი ფეხბურთელი აკლდა: გოგიტა გოგუა, ლევან კობიაშვილი, დავით მუჯირი, მალხაზ ასათიანი, გიორგი დემეტრაძე და შოთა არველაძე. „სარბიელთან“ ინტერვიუში კი ტოპმიოლერმა თქვა, მუჯირი, ასათიანი და არველაძე რომ მყოლოდა, ამ თამაშს მოვიგებდითო. იმავ ინტერვიუში ტოპმიოლერმა ისიც განაცხადა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე სიარული ჩემთვის დროის ფლანგვაა...

თვის ბოლოს ეროვნულ ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ შეხვედრაში ჯგუფური ჩხუბი ატყდა — „დინამოს“ და „ოლიმპის“ ფეხბურთელებმა შეხვედრის დასრულების შემდეგ მოაწყეს აყალმაყალი. ყველაფერი კი ოლიმპელ გოჩა ხოჯავას დაბრალდა, დისციპლინარებმა „დინამოსთვისაც“ და „ოლიმპისთვისაც“ კმაყოფილების მომტანი გადაწყვეტილებები და ლიბერალური სასჯელები გამოიტანეს.

უარესი ამბები იყო პირველი ლიგის „გურია“ — „მესხეთის“ მატჩშიც, რომელიც გუნდური ჩხუბის გამო ჩაიშალა.

ნოემბერი

ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მოიგო — თბილისში ამხანაგურად გაეჯიბრა ურუგვაის და ორი უპასუხო გოლი გაუტანა. ფინანსურად კი ეს მატჩი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის წამგებიანი გამოდგა — ზარალმა ასი ათას ლარს მიუკაკუნა.

ტოპმიოლერის ნაკრებში პირველად გამოჩნდნენ ლადო ბურდული და დავით სირაძე — მწვრთნელი ურუგვაისთან მათი გარჯით კმაყოფილი დარჩა.

ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყო მოლაპარაკება გაისად თბილისში არგენტინის ან ბრაზილიის ნაკრების ჩამოსაყვანად.

ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში პირველ ადგილზე რუსთავის „ოლიმპი“ გავიდა.

პროფლიგამ სუპერთასის ახალ სპონსორ „ფოლკსვაგენთან“ კონტრაქტი გააფორმა. სუპერთასს „ფოლკსვაგენის თასი“ ეწოდა.

დეკემბერი

„ამერმა“ კიდევ ერთი თასი, „ფოლკსვაგენის თასი“ მოიპოვა — ბოლნისის „სიონს“ 1:0 მოუგო.

„ოლიმპიდან“ მთავარი მწვრთნელი გიორგი კიკნაძე გაუშვეს და მის შემცვლელად გამოცდილ რევაზ ძოძუაშვილს უხმეს, ხოლო კიკნაძემ ქუთაისის „ტორპედო“ ჩაიბარა, სადაც სწორედ ძოძუაშვილი მუშაობდა „ოლიმპში“ მისვლამდე.

შოთა არველაძის გოლებით „ალკმაარმა“ „სევილიას“ სტუმრად 2:1 მოუგო და უეფას თასის ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა.

თბილისის „დინამომ“ ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხა — „ვიტ ჯორჯიადან“ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დავით დიღმელაშვილი გადაიბირა, თუმც ყველა მხარე აცხადებდა, რომ დიღმელაშვილი თავისუფალი აგენტის სტატუსით გახდა დინამოელი.

დავით თავართქილაძე

ბაბრი ჯეიოლაძის ფოტო

ეს უნდა ნახო!

მაურინიუს ტაქსი თვითმფრინავია

ემოციური და არტისტული სამხრეთელი, რომელმაც ნისლიანი ალბიონი გადარია. ჟოზე მაურინიუმ დიდსაფეხბურთო ისტორიაში თავისი ადგილი უკვე გაინაღდა, თუმცა „ჩელსის“ ახალგაზრდა თავკაცი ჯერ პენსიაზე გასვლას ნამდვილად არ აპირებს. პორტუგალიელმა ჟურნალისტებთან ინგლისურ საფეხბურთო ვნებებზე ისაუბრა

— რას გვეტყვით თქვენ, როგორც უცხოელი, ინგლისელებზე, რომელთაც თვით საშობაოდაც საფეხბურთო მარათონი აქვთ გახურებული?

— როცა ინგლისში პირველად ჩამოვედი, მივხვდი, რომ ფეხბურთი აქაურთათვის ყველაზე ძლიერი ვნების ტოლფასია. საშობაო დღეებში ხალხი ოჯახებს ,ტოვებს და ფეხბურთის საყურებლად სტადიონზე გარბის — როცა ამას ნახავ, ინგლისელთა ახირებულობაზე უკვე საყვედური აღარ დაგცდება. ფეხბურთელებიც განსაკუთრებული ხალისით ბურთაობენ, იციან, რომ ტრიბუნაზე ბევრი ბავშვი იქნება, რომლებიც შესაძლოა, თავიანთ კერპებს ცოცხლად პირველად ხედავენ.

— მაგრამ თქვენ პორტუგალიელი ხართ, სამხრეთელთა უმრავლესობისთვის კი მთავარია, შობას ოჯახურ წრეში შეხვდეს და თუ ამაში ხელს ფეხბურთი უშლით, ვერაფერი შვებაა...

— მომისმინეთ, თუ თქვენს ოჯახს მართლა უყვარხართ (ისე, როგორც ჩემს შემთხვევაშია), ისინი მიხვდებიან, რომ თქვენ საარსებო ფულს სწორედ ფეხბურთით შოულობთ და უნდათ თუ არა, თქვენს პროფესიასთან შეგუება მოუწევთ. ეს მათთვის უცხო ხილი არ იქნება, თუმცა დროთა განმავლობაში შეეჩვევიან. შვება ახსენეთ? მე ფულს ჩემი საქმის გაკეთებაში მიხდიან და არა არდადეგებზე მხართეძოზე წამოწოლაში.

— საინტერესოა, შობის წინა ღამეს რას ფიქრობდით, როცა იცოდით, რომ უკვე 25 დეკემბერს გუნდი უნდა გევარჯიშებინათ? მომდევნო დღეს კი უკვე ბოქსინგ დეი, სხვა დღესასწაული მოვიდა. ფეხბურთს და წმინდა დღესასწაულებს ერთმანეთს როგორ უთავსებთ?

— ბედმა გამიღიმა, მფლანგველი არ ვარ და ხელფასს ტყუილუბრალოდ არ ვხარჯავ. რადგანაც ფულის გადაყრა არ მიყვარს, 24-ში ჯიბე ცარიელი არ მქონდა და ჩემს თავს ფანტასტიკური კაპრიზის რეალობად ქცევის უფლება მივეცი — კერძო თვითმფრინავი დავიქირავე და „ჩელსის“ ვარჯიშის შემდეგ ოჯახთან ერთად პორტუგალიაში, ჩვენს სახლში ჩავედით. შობის წინა ღამე იქ ვიდღესასწაულეთ, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ თავიდან ვიქირავე თვითმფრინავი, რათა დღის პირველ საათზე კვლავ ლონდონში, კობჰემის საწვრთნელ ბაზაზე დავბრუნებულიყავი. აი, ასეთი მოგზაურობა გამოგვივიდა.

— მართლაც, შთამბეჭდავია!

— მე კი გეტყვით, რომ ბოქსინგ დეია შთამბეჭდავიც და ფანტასტიკურიც. ჩემი ნატვრაა საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნებმა დღესასწაულებისას მატჩების გამართვის ჩვეულება ინგლისელთაგან, რაც შეიძლება, მალე გადაიღონ. აი, ნახავთ, გულშემატკივრები ყველგან არმიებად ,ივლენ სტადიონებზე... ძალიან [illegible] სახედავია ბოქსინგ [illegible] ინგლისური არენების ტრიბუნები, ყველანი იქ არიან, ოჯახები, ბაბუებიდან დაწყებული, დამთავრებული შვილიშვილებამდე.

— ანუ ნამდვილი სპექტაკლია...

— არა, რას ამბობთ, სპექტაკლი ფეხბურთია, ხალხი კი ამ სანახაობის ცოცხალი რეკლამა. როცა თავისუფალი დრო აქვთ, დღესასწაულებზეც კი ინგლისელები სტადიონისკენ გამორბიან. არტისტები ჩვენ ვართ და პუბლიკისთვის, ანუ გულშემატკივართათვის თავი არ უნდა დავზოგოთ. ამ ტრადიციის და ვნების დაღუპვა არაფრით არ შეიძლება.

— მაგრამ ალბათ იქნება რამე, რაც ინგლისში ჩამოსვლისთანავე არ მოგეწონათ და დღესაც მისდამი ანტიპათიით ხართ განწყობილი...

— ტაბლოიდების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი არასდროს მომწონდა და ვერასდროს მოვიწონებ. კიდევ ინგლისში საშობაო მარათონი არ მიყვარს. ბოქსინგ დეი გასაგებია, მაგრამ დროის მცირე მონაკვეთში ზედიზედ ოთხი მატჩის გართმართვა ნამდვილი საშინელებაა. მაშინ, როცა სხვა ქვეყნების ჩემპიონატებში შესვენებაა, ინგლისური გუნდების ფეხბურთელები ფიზიკურად და მორალურად იფიტებიან. ეს დაღლილობა კი თავს ევროტურნირების დროს იჩენს.

კუნძული სახელად არსენალი

ნოგომლიანტის მელანქოლიური ძართველი

იენს ლემანი

2006: უეფას ამბავთკრებული

ვენგერის ბოკოლადი

ლონდონის „არსენალის“ მეკარემ იენს ლემანმა უარყო აზრი, თითქოს იგი ყოველთვის მშვიდადაა მინდორზე: „თამაშისას სულ გაბრაზებული ვარ, ასეთი სტილი მაქვს. ჩემთვის აუცილებელია, ბოლომდე კონცენტრირებული ვიყო, რათა სათანადოდ გავისარჯო. თავს მოდუნების ან ღიმილის უფლება რომ მივცე, შეცდომას დავუშვებ“ — განაცხადა ვეტერანმა გერმანელმა გოლკიპერმა.

შესაძლოა, ლემანს, უბრალოდ, შოკოლადი აკლია, რომელიც „მეოფეების“ მთავარ მწვრთნელს არსენ ვენგერს აკრძალული აქვს. ფრანგმა სპეციალისტმა ეს ათი წლის წინ გააკეთა, როცა „არსენალი“ ჩაიბარა.

„ფეხბურთელებს შოკოლადის ჭამა ავუკრძალე. ეს გუნდში ჩემი პირველი მატჩისასვე მოხდა. ბლექბერნში ავტობუსით მივდიოდით, ბიჭები კი სკანდირებდნენ: „დაგვიბრუნეთ ჩვენი შოკოლადები!“ მე ფრანგი ვარ, რომელიც ინგლისელად არ გადაიქცა. ათი წელია, აქ ვარ და ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს კუნძულზე ვცხოვრობდე, რომელსაც „არსენალი“ ჰქვია. თუმცა არ გირჩევთ, ლონდონის დათვალიერება მთხოვოთ — დავიკარგებით“ — თქვა ვენგერმა.

ბენზინის სუნი

იქნებ ვეტერან იტალიელ ფორვარდ კრისტიანო ლუკარელის ვენგერის დიეტაზე დაფიქრება უღირდეს? „ლივორნოს“ თავდამსხმელმა თავის ყოფილ კლუბ „ლეჩესთან“ ცოტა ხნის წინანდელ მატჩში გოლის გატანა ვერ შეძლო და მერე საინტერესო რამეზე გაამახვილა ყურადღება.

„როცა იმ გოლების ვიდეოჩანაწერს ვნახულობ, რომლებიც „ლეჩეში“ გამქონდა, ვერ ვიგებ, ამას როგორ ვახერხებდი, რადგან მაშინ გაცილებით მსუქანი ვიყავი და ზედმეტი წონა მქონდა. ეს იმიტომ, რომ იმ დროს ბევრ ღორის ხორცსა და ტკბილეულს ვჭამდი“ — აღნიშნა 30 წლის ფეხბურთელმა.

აი, „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი გამორჩეული გურმანი არ ყოფილა, სამაგიეროდ, მას ბენზინის სუნი ჰყვარებია: „ფეხბურთელი რომ არ ვყოფილიყავი, ბენზინგასამართი სადგურის მფლობელი გავხდებოდი. ბავშვობიდან მიზიდავდა ასეთი სადგურების მფლობელთა სქელი საფულეები და ბენზინის სუნი.“

წვიმის ხაცი

ფრანგული „მონაკოდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასულ ევრას ადაპტაციის გავლა უჭირს. ზღვისპირა, პატარა და საოცარი სახელმწიფოდან წვიმიან მანჩესტერში გადასვლას ნიჭიერი მცველი ვერაფრით ეგუება,თან არც ინგლისური სამზარეულო მოსწონს.

„საჭმელი აქ კოშმარულია და მუდამ წვიმს. მე, ჩემს მეუღლესა და ვაჟს ცოტა გვიჭირს. როცა ვარჯიშები და თამაშები არ გვაქვს, თბილი პლედის ქვეშ ვძვრებით და ტელევიზორს ვუყურებთ“ — განაცხადა ევრამ.

სევდიანი იაშჯა

ნობელის პრემიის ლაურეატმა და ცნობილმა მწერალმა გიუნტერ გრასმა აღნიშნა, რომ „ფრაიბურგსა“ და მის ჩვენებურ ფორვარდს ალექსანდრე იაშვილს ქომაგობს. მიზეზი კი ასეთი ყოფილა: „იგი ისეთი მელანქოლიურია... მაშინაც კი, როცა გოლი გააქვს“.

გიორგი კაკაბაძე

მასიმო ოდო გაიაფდა

„მილანმა“ შეიძლება „ლაციოს“ მცველი მასიმო ოდო იყიდოს, ასეთია ბოლო იტალიური ჭორები. მსოფლიოს ჩემპიონი ოდო შავ-წითლებს მიზანში რომ ჰყავდათ ამოღებული, კარგა ხანია ცნობილი იყო. მილანელები ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს ცდილობდნენ რომაული კლუბის დაყოლიებას, მაგრამ „ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ მცველი 10,5 მილიონი ევროდ დაფასა და მყიდველები დაფრთხნენ. როგორც ამბობენ, ახლა ოდოს ფასმა დაიკლო, 6,95 მილიონ ევრომდე დავიდა და ეს გარიგება შესაძლოა 4 იანვარს შედგეს. აღსანიშნავია, რომ ამავე გარიგებაში შედის „ლაციოსთვის“ აგვისტოში მიქირავებული პასკუალე ფოჯას დატოვებაც, თორემ ისე, ბოლო თვეებში ლოტიტო ხან 18 მილიონს გაიძახოდა და ხანაც რას.

მაგრამ როგორც ზემოთ მოვახსენეთ, ეს ბოლო იტალიური ჭორია, ჭორს კი გადამოწმება უნდა და ჟურნალისტების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავიც სწორედ ეს არის. იტალიელმა ჟურნალისტებმა, ბუნებრივია, იმწუთას კლაუდიო ლოტიტოს მიაკითხეს და პასუხიც მიიღეს:

„ოდო არ იყიდება, მაგრამ არც ჯაჭვით გვყავს დაბმული. თუ ხელრიან თანხას შემოგვთავაზებენ, ისეთს, როგორიც კაცმა მსოფლიოს ჩემპიონში უნდა გადაიხადოს, მაშინ ჩვენ მას გავყიდით“.

ჭორებისავე თანახმად ლოტიტოს ძალიან უნდა გარიგებაში რამენაირად სიმონე ინძაგი და მატეო სერენიც მოახვედროს, რადგან „ლაციოს“ თავკაცის ღელიო როსის გეგმებში არც თავდამსხმელი შედის და არც მეკარე.

პაპუნა კედია

შენც დაკარგავ, ჟოზე!



დარდი და სიხარული: მიკაელ ესიენი და კრიშტიანუ რონალდუ

ინგლისი
პრემიერლიგა
XX ტური

მანჩესტერი 3:1 უიგანი

1:0, 2:0 რონალდუ (47, 51), 3:0 სოლსკიაერი (59), 3:1 ბაინსი (90პ)

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ვ. ბრაუნი, ვიდიჩი, მ. სილვესტრი, ევრა (ჰაინცე 70), დ. ფლეტჩერი (კ. რონალდუ 46), ოში, სქოულზი (რიჩარდსონი 62), პარკი, რუნი, სოლსკიაერი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

უიგანი: კირკლანდი, ბაინსი, ბოისი, ჰალი (სკოკო 60), ჯექსონი, რაიტი, კილბეინი, ტილი (კოტერილი 52), იოჰანსონი, ტოდოროვი, ჰესკი

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

მსაჯი: რაილი

76 018 მაყურებელი

ჩელსი 2:2 რედინგი

1:0 დროგბა (38), 1:1 ლიტა (67), 2:1 დროგბა (72), 2:2 ესიენი (86ს.კ.)

ჩელსი: ილარიო, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ბრიჯი (ეშლი კოული 70), ჯერემი (მიკელი 70), ესიენი, ბალაკი, ლამპარდი, ს. კალუ, შევჩენკო (შ. რაიტ-ფილიპსი 58), დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

რედინგი: ჰანემანი, მარტი, ინგიმარსონი, სონკო, შორი, ჯ. ჰარპერი, სიდუელი, ლიტლი, გუნარსონი, ლიტა, კ. დოილი

მწვრთნელი: სტივ კოპელი

გაფრთხილება: ლიტა, ბალაკი

მსაჯი: ვაილი

41 885 მაყურებელი

უოტფორდი 1:2 არსენალი

0:1 ჟილბერტო სილვა (19), 1:1 სმიტი (23), 1:2 ვან პერსი (83)

უოტფორდი: ფოსტერი, მარიაპა, შიტუ (პრისკინი 90), დე მერიტი, სტიუარტი, ბანგურა, მაკნამი (ჰენდერსონი 77), მაჰოუნი, იანგი, ბუაზა (ფრენსისი 69), ტ. სმიტი

მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი

არსენალი: ლემანი, ჰოიტი, კ. ტურე, ჯურუ (სენდეროსი 46), კლიჩი, გლენბი (უოლკოტი 71), ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, როსიცკი (ჟულიო ბაპტისტა 79), ადებაიორი, ვან პერსი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მსაჯი: დინი

19 750 მაყურებელი

ბლექბერნი 1:0 ლივერპული

1:0 მაკკარტი (49)

ბლექბერნი: ფრიდელი, ნილი, ოიერი, ტოდი, ემერტონი, ბენტლი (მოკენა 87), თუგაი (ანშო 90), სეივჯი, მ. პედერსენი, ნონდა (დერბიშირი 78), მაკკარტი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

ლივერპული: ხ. რეინა, ფინანი, ჰიიპია, აგერი, კარაგერი, რიისე, ხაბი ალონსო, ჯერარდი, მარკ გონსალესი (ფ. აურელიო 64), კრაუჩი (კუიტი 56), ბელამი (ლუის გარსია 76)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: აგერი, ხაბი ალონსო, ნონდა, პედერსენი, ემერტონი

მსაჯი: სტაილზი

29 342 მაყურებელი

ვესტ ჰემი 1:2 პორტსმუთი

0:1, 0:2 პრიმუსი (16, 38), 1:2 შერინგემი (81)

ვესტ ჰემი: გრინი, სპექტორი (დეილი 69), გაბიდონი, ე. ფერდინანდი, კონჩესკი, მალინსი, რეო-კოკერი, ბენაიუნი, ეზერინგტონი (ტევესი 46), ზამორა, ჰარვუდი (შერინგემი 46)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, ს. კემპბელი, პამარო, პრიმუსი, ს. ტეილორი, დევისი, პ. მენდეში, ონილი, მ. ფერნანდეში, კანუ (ენდი კოული 87)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

მსაჯი: ატკინსონი

34 913 მაყურებელი

ბოლტონი 2:1 ნიუკასლი

0:1 დაიერი (8), 1:1 რიმეიჯი (33ს.კ.), 2:1 ანელკა (57)

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ბენ ჰაიმი, მეიტე, ფეიე, კამპო, სპიდი, ნოლანი, დიუფი (პედერსენი 90), დევისი, ანელკა

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

ნიუკასლი: სრნიჩეკი, რიმეიჯი, ჰანინგტონი, ტეილორი, ედგარი, მილნერი (როსი 65), ბათი, პარკერი, დაიერი (ემრე 55), სიბიერსკი, მარტინსი

მწვრთნელი: გლენ რიოდერი

გაფრთხილება: ბათი, დევისი, დიუფი, კამპო, ჰანინგტონი, როსი

მსაჯი: ვები

26 437 მაყურებელი

ტოტენჰემი 2:1 ასტონ ვილა

1:0, 2:0 დეფო (58, 78), 2:1 ბერი (82)

ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, კინგი, ლი, ჰადლსტოუნი, ჯალი (მერფი 69), ზოკორა, მალბრანკი, დეფო (დეეენპორტი 89), ბერბატოვი

მწვრთნელი: მარტინ იოლი

ასტონ ვილა: კირალი, ა. ჰიუზი (რიდგუელი 36), მელბერგი (ოსბურნი 46), გ. კეჰილი, ბერი, დევისი, გარდნერი, მაკკანი, პეტროვი (ბუმა 46), აგბონლაჰორი, ბაროში

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: მაკკანი, მალბრანკი, კეჰილი

მსაჯი: რენიე

35 293 მაყურებელი

ევერტონი 0:0 მიდლსბრო

ევერტონი: ჰოვარდი, ლესკოტი, ნეისმიტი (ნუნუ ვალენტე 66), იობო, კარსლი, არტეტა, დევისი, ოსმანი, მაკფადენი (ვან დერ მეიდე 66), ანიჩებე (ბიტი 74), ე. ჯონსონი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

მიდლსბრო: შვარცერი, დევისი, ვუდგეიტი, ჰოგატეცი, ტეილორი, არკა, ბოატენგი, მენდიეტა (ვიდუკა 46), კეტერმოლი (პარნაბი 74), დაუნინგი, ადებაიორი

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

გაფრთხილება: კარსლი, არკა

მსაჯი: დოუდი

38 126 მაყურებელი

შეფილდი 0:1 მანჩესტერ სიტი

0:1 აირლენდი (79)

შეფილდი: კენი, დევისი (ბრომბი 68), გირი (არმსტრონგი 26), კოზლუკი, მორგანი, გილესპი, იაგიელკა, ტონგე, ა. ქუინი, ვებერი (ნადე 76), ჰალსი

მწვრთნელი: ნილ უორნოკი

მანჩესტერ სიტი: ვივერი, რიჩარდსი, დისტინი, დანი, ონუა (ჯორდანი 85), ტრაბელსი, ბარტონი, დაბო, აირლენდი, ვასელი (მილერი 90), კორადი (სამარასი 46)

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

გაფრთხილება: ბრომბი, მორგანი, ბარტონი

მსაჯი: კლატენბურგი

32 591 მაყურებელი

ჩარლტონი — ფულემი

წუხელ გვიან დამთავრდა

(იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

საშობაო ტურების მეორე საბრძოლო დღეს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შეცვლაზე შესული კრიშტიანუ რონალდუს 4 წუთში შესრულებული დუბლით „უიგანი“ დაამარცხა. „ჩელსიმ“ კი ვერ შეძლო ზედიზედ შესამე 2:2-ის გამარჯვებად ქცევა და ლიდერსა და მადევარს შორის სხვაობა 4 ქულა შეიქნა. „მანჩესტერის“ შემადგენლობა წინა თამაშთან შედარებით განსხვავებული იყო: რიო, გარი ნევილი, რონალდუ, საჰა და გიგზი სკამზე ისხდნენ და პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში უგოლო იყო.

რონალდუ მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში და ერთი ეგრევე გაიტანა, მეორე კი ორი ამოსუნთქვის შემდეგ: თავისსავე დარტყმულ და კრის კირკლანდის მოგერიებულ პენალტს მიუსწრო. ამას კი ოლე გუნარ სოლსკიაერის მესამე მოჰყვა.

„ვგრძნობდი, რომ ის თამაშს შეცვლიდა — თქვა ფერგიუსონმა — კრიშტიანუ ბრწყინვალე ფორმაშია, ჩვენ კი სისწრაფე გვაკლდა“.

რონალდუმ ზედიზედ მეორე თამაშში შეასრულა დუბლი, „ჩელსის“ კი საშინელი გამოცდა ელოდა „სტემფორდ ბრიჯზე“, სადაც საბოლოოდ ორი ფასდაუდებელი ქულა დაკარგა „რედინგთან“ ჭიდილში.

როცა ჯონ ტერი მინდორზე არ არის, „ჩელსისთვის“ გატანა ყველას შეუძლია, ეს ჯერ კიდევ წინა კვირაში თქვა ჟოზე მაურინიუმ და ეს მართლაც ასეა. პირველ წრეში მეკარე პეტრ ჩეხის დამშავებელი სტივენ ჰანტი „რედინგს“ სასტარტოში არ ჰყავდა, ჩემპიონები კი ორჯერ იგებდნენ ბრწყინვალე დიდი დროგბას ორი ზუსტი თავურით. შევჩენკო კვლავ შესაცვლელი შეიქნა, ხოლო პირველი გოლი ლერუა ლიტამ გაქვითა, თამაშის მიწურულს კი კოულ-ესიენ-ილარიოს მოუხერხებლობამ „რედინგის“ მეორე გოლი შვა.

„წინა ტურში მოვიგეთ და მე ფეხბურთელებით უკმაყოფილო ვიყავი. დღეს კმაყოფილი ვარ, მაგრამ ვერ მოვიგეთ“ — თქვა მაურინიუმ.

„წინა კვირაში ჟოზემ თქვა, რომ ჩვენ ქულებს დავკარგავთ — ეს ფერგის სიტყვებია — მაგრამ ქულებს ისიც დაკარგავს. მთავარი სტაბილურობაა და ჩვენ მას მთელი სეზონია ვაჩვენებთ. წინა კვირაში წაგების შემდეგ ჩვენ კვლავ ფეხზე დავდექით. ჩვენი თამაში გვიან იყო და „ჩელსის“ შედეგი ვიცოდით, თუმცა, არ დავშვიდებულვართ“.

შაბათს მესამე ადგილი იპყრო „არსენალმა“, რადგან ორი დღის წინათ მისგან განადგურებულმა „ბლექბერნმა“ ჯავრი „ლივერპულზე“ იყარა: ბენი მაკარტის გოლს მერსისაიდელები კი უპასუხებდნენ, მაგრამ მეკარე ბრედ ფრიდელმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინა.

„არსენალმა“ კი თამაშის მიწურულს გამოგლიჯა 3 ქულა „უოტფორდს“ და არსენ ვენგერმა გადამწყვეტი გოლის გამტანი რობინ ვან პერსი აქო: „ის უკვე გუნდური მოთამაშეა და გადამწყვეტი დარტყმები გამოსდის“.

პორტსმუთელი ლინკოი პრიმუსის წყვილმა თავურმა ზღვისპირელებს „ვესტ ჰემი“ დაამარცხებინა. კერბიშლის ხელქვეითებმა საზიზღრად ითამაშეს, თუმცა, შეცვლაზე შესულმა კარლოს ტევესმა და ტედი შერინგემმა გუნდის თამაში მაინც შეცვალეს და უასაკო შერიმ ერთი ბურთიც გაქვითა: ოღონდ, მასპინძელთა შტურმს მეორე საპასუხო ვეღარ მოჰყვა.

ირაკლი გამყრელიძე

მანჩესტერი	20	16	2	2	44:11	50
ჩელსი	20	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	46
არსენალი	20	14	2	4	37:18	44
ბოლტონი	20	11	3	6	24:16	36
პორტსმუთი	20	10	5	5	30:18	35
ლივერპული	20	10	4	6	28:16	34
ტოტენჰემი	20	9	4	7	25:26	31
ევერტონი	20	7	7	6	24:20	28
რედინგი	20	8	3	9	22:27	27
ასტონ ვილა	20	5	10	5	22:23	25
ნიუკასლი	20	7	4	9	21:23	25
ფულემი	19	6	6	7	18:28	24
სიტი	20	6	5	9	16:24	23
უიგანი	20	6	4	10	23:29	22
ბლექბერნი	19	6	4	9	19:28	22
მიდლსბრო	20	5	6	9	17:24	21
შეფილდი	20	5	5	10	15:26	20
ვესტ ჰემი	20	5	3	12	12:26	18
ჩარლტონი	19	3	3	13	13:33	12
უოტფორდი	19	1	8	10	12:26	11

ბომბარდირები

დროგბა (ჩელსი)	12
რონალდუ (მანჩესტერი)	10
კანუ (პორტსმუთი)	9
რუნი (მანჩესტერი)	8
საა (მანჩესტერი)	8
კ. დოილი (რედინგი)	8
ვან პერსი (არსენალი)	8

XXI ტური

30 დეკემბერი

ჩელსი	:	ფულემი
ევერტონი	:	ნიუკასლი
მანჩესტერი	:	რედინგი
შეფილდი	:	არსენალი
ტოტენჰემი	:	ლივერპული
უოტფორდი	:	უიგანი
ვესტ ჰემი	:	სიტი
ბლექბერნი	:	მიდლსბრო
ბოლტონი	:	პორტსმუთი
ჩარლტონი	:	ასტონ ვილა

ჩემპიონატი

XXV ტური

საუთჰემპტონი — კრ. პალასი 1:1; კარდიფი — პლიმუთი 2:2; ბარნსლი — ბარნლი 1:0; ბირმინგემი — ქუინზ პარკი 2:1; კოლჩესტერი — ლუთონი 4:1; ქოვენთრი — იფსვიჩი 1:2; დერბი — ვულვზი 0:2; ჰალი — ლესტერი 1:2; ნორვიჩი — საუთენდი 0:0; სტოკი — უენსდი 1:2; სანდერლენდი — ლიდსი 2:0; ვესტ ბრომვიჩი — პრესტონი 4:2

ბირმინგემი	25	16	4	5	44:23	52
პრესტონი	25	12	8	5	38:26	44
დერბი	25	13	5	7	33:27	44
საუთჰემპტონი	25	11	8	6	41:31	41
ვესტ ბრომვიჩი	25	11	7	7	45:28	40
კოლჩესტერი	25	12	4	9	43:28	40
სტოკი	25	11	7	7	32:20	40
კარდიფი	25	10	9	6	35:28	39
ვულვზი	25	11	6	8	25:27	39
ბარნლი	25	10	7	8	32:26	37
სანდერლენდი	25	11	4	10	34:31	37
უენსდი	25	10	7	8	34:35	37
პლიმუთი	25	8	11	6	32:32	35
ქოვენთრი	25	10	3	12	23:28	33
იფსვიჩი	25	9	5	11	36:35	32
ლესტერი	25	8	8	9	26:29	32
ნორვიჩი	25	8	7	10	32:39	31
კრ. პალასი	25	8	6	11	28:31	30
ლუთონი	25	8	5	12	33:43	29
ქუინზ პარკი	25	7	6	12	33:40	27
ბარნსლი	25	7	5	13	29:42	26
ლიდსი	25	6	4	15	24:44	22
ჰალი	25	5	6	14	23:37	21
საუთენდი	25	3	8	14	18:43	17

2006: ფოტოსიხარულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

2006, რასაკვირველია, ბარაქიანი გახლდათ საფეხბურთო ზეიმებით და არა მარტო ზეიმებით...

2006 იყო აფრიკის თასის წელი, რომელიც ეგვიპტემ მოიგო, მისი მეკარე ესამ ელ ჰადარლი კი გამარჯვებით ტაბობამ აგერ, ხარიხაზე შემოსვა. ხოლო ამ შეჯიბრის მთავარი დრამატიზმი, ეგებ გახსოვდეთ, სენეგალისა და კოტ დივუარის ნახევარფინალის 11-11 დარტყმიანი პენალტების სერია იყო...

აქეთ ევროპაში კი, მსოფლიოს თასის ფინალს ორი დიდი საკლუბო ფინალი უძღვოდა. ჩემპიონთა ლიგისაში მძინარე ტიერი ანრის „არსენალმა" დაწინაურება ვერ შეიშნო და თასი „ბარსელონას" დარჩა, უეფას თასი კი „სევილიამ" მოუგო „მიდლსბროს" უფრო იოლ ბრძოლაში...



მერე კი იყო მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლის ფინალის ამბების გახსენებისას გულშემატკივარს წლების მერე ბევრი რამ დაავიწყდება, ოღონდ ზიდანის თავური მატერაცის მკერდზე სამუდამოდ აღიბეჭდა გონებაში, ხოლო სტატისტიკის წიგნები ასი წლის მერე ჩვენს შვილიშვილის შვილიშვილებს ამცნობენ, რომ 2006-ში ჩემპიონი იტალია გახდა. ოღონდ იმ სტატისტიკის წიგნებში არაფერი ეწერება იმაზე, რომ ბრაზილიელმა დიდვარსკვლავმა რონალდინიომ უილაჯოდ ითამაშა...

ფოტოკიკვილები: 2006



დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი და დაიწყო ჯალჩოპოლის სეანდალი, რომელმაც შეიწირა „იუვენტუსის" ტოპმენეჯერი ლუჩანო მოჯი და იტალიაში მსაჯთა დამნიშნავი პიერლუიჯი პაირეტო. ადრიანო გალიანის „მილანს" ჯი ქულებნაკლულს მოუხდა სერია A-ს დაწყება...

მერე ისევ სათასო ჯახი იყო. „სევილიამ" ევროპის სუპერთასზე გაიცამტვერა „ბარსელონა", რომელიც სულ ახლახან ბრაზილიურ „ინტერნასიონალთანაც" დამარცხდა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში...

წლის აბსოლუტური ჩემპიონი ჯი გახდა ფაბიო კანავარო: მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტანი და „ფრანს ფუტბოლისა" და ფიფას ვერსიებით ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე...

და როგორც თავში ვთქვით, 2006 არ იყო მხოლოდ ზეიმთა წელი. უკურნებელმა სენმა შეიწირა დიდი ვარსკვლავები ფერენც პუშკაში და ჯაჩინტო ფაკეტი...

წერილი ტოტის: შენც ათი, მეც ათი

პლატინიმ ირონიაში პატივისცემა ჩააქსოვა



„იუვენტუსის“ ლეგენდამ მიშელ პლატინიმ „რომას“ კაპიტანს ფრანჩესკო ტოტის წერილი მისწერა, რომელშიც ფეხბურთელების ეროვნული ნაკრებებისადმი დამოკიდებულებაზე თავისი შეხედულება გაანდო. ვინ კითხავს პლატინის და რატომ უნდა აინტერესებს დღევნდელ ვარსკვლავს მისი მოსაზრებები? საქმე ის არის, რომ პლატინი უეფას პრეზიდენტობის კანდიდატია, უფრო სწორედ კი, ალბათ, მომავალი პრეზიდენტი სწორედ ის არის, ასე რომ, მისი აზრი უინტერესო და უმნიშვნელო ნამდვილად არ უნდა იყოს. მოსაზრება კი ასეთია: პლატინის რწმენით ნაკრებში თამაშზე უარის თქმის გამო ტოტი უნდა დაისაჯოს!

„რომას“ კაპიტანმა წერილის კომენტირებისგან თავი შეიკავა, თუმცა როგორც კი ხმები დაიყარა, რომ მასა და პლატინის შორის ცუდი ურთიერთობაა, წარსულის დიად წარმომადგენელს „სამპდორიას“ კარში გატანილი ორი გოლი მიუძღვნა. ეს იტალიის პირველობის მე-13 ტურში მოხდა.

ხოლო, პლატინის წერილში, რომელიც ახალ ჟურნალ „მეათე ნომერში“ დაიბეჭდა, ეწერა:

„ძვირფასო ფრანჩესკო! შენ შემოქმედი ფეხბურთელი ხარ, ნამდვილი მეათე ნომერი, ისეთი, როგორიც მე ვიყავი, ასე რომ ჩემსა და შენს შორის შეუთანხმებლობა შეუძლებელია. ჩვენნაირმა ადამიანებმა ერთმანეთი შესაძლოა, მხოლოდ გაკენწლონ, ისიც, დასახელების გარეშე. ასე იყო მაშინ, როდესაც ჩემზე ომარ სივორი ხუმრობდა და მწამს, 20 წლის შემდეგ შენც იხუმრებ მომავალ მეათე ნომერზე. და იცი, დარწმუნებული ვარ შენი ხუმრობა ძალიან სასეირო გამოვა.

ასე რომ, ხანდახან მეც ვხუმრობ ოღონდ, ამ ხუმრობებში ირონიის გარდა შემოქმედი მოთამაშის პატივისცემაა ჩაქსოვილი. ჩემი სიტყვები შენამდე სწორად ვერ მოიტანეს. იმედი მაქვს „რომას“ მაისურით უამრავ ჯილდოს მოიგებ, 2009 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი „სტადიო ოლიმპიკოზეა“ და ვინ იცის იქ შევხვდეთ კიდეც ერთმანეთს“.

აღსანიშნავია, რომ ფრანგმა ცოტა ხნის წინ ასეთივე ბრუნი ფაბიო კანავაროსთან დაკავშირებითაც შეასრულა — თავიდან განაცხადა, რომ „ოქროს ბურთი“ ცენტრალურ მცველს არ უნდა მოეგო, შემდეგ კი გადათქვა.

პაპუნა კედია

რეალი ბექემს მაგიდასთან ეპატიჟება

თუ დევიდ ბექემმა კონტრაქტის განახლების თაობაზე მადრიდის „რეალის“ შეთავაზებას 31 დეკემბრამდე არ უპასუხა, 2007 წლის 1 იანვრიდან ინგლისელს სრული უფლება ექნება, მისი შეძენით დაინტერესებულ უცხო კლუბებთან სატრანსფერო ვაჭრობა წამოიწყოს. საქმეო კლუბის უფროსობა ფიქრობს, რომ ბექემი საშობაო არდადეგების პერიოდში მათ მიერ შეთავაზებულ წინადადებას სერიოზულად აწონ-დაწონის და „რეალს“ კონტრაქტის განახლების სურვილით დაუბრუნდება (მადრიდელები არდადეგებისშემდგომ პირველ ვარჯიშს 30 დეკემბრის ოთხ საათზე გამართავენ). მოქმედი ხელშეკრულების თანახმად კი დევიდს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დარჩენა 2007 წლის 30 ივნისამდე უწევს. თუ ინგლისელი მადრიდელებთან ახალ შეთანხმებაზე უარს იტყვის, ახალი წლის პირველი დღიდანვე დაინტერესებულ კლუბებთან სატრანსფერო გარიგების უფლებას მიიღებს — ფიფას რეგლამენტის თანახმად, ფეხბურთელს თავისი ბედის გადაწყვეტა ძველ კლუბთან საკონტრაქტო ვადის ამოწურვამდე შეუძლია. ბექემს და ყველა სხვა ფეხბურთელს ფიფა ნებას აძლევს, ახალი ხელშეკრულება ძველის ვადის გასვლამდე, ექვსი თვით ადრე გააფორმოს.

ესპანური მედია გვამცნობს, რომ თუ ბექემმა და „რეალმა“ შეთანხმებას 31 დეკემბრამდე ვერ მიაღწიეს, სამეფო გუნდი ფარ-ხმალს მაინც არ დაყრის და ინგლისელის გადაბირებას იანვრის განმავლობაშიც ეცდება. მიუხედავად იმისა, რომ „ბექზი“ უკვე 31 წლისაა, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება მტკიცედ გადაუწყვეტიათ. ბექემთან ხელშეკრულების განახლებას დაჟინებით ითხოვს „რეალის“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო, რომელმაც დევიდი ბოლო სამი თამაშის განმავლობაში ძირითადში დააყენა (ინგლისელს მხოლოდ „ესპანიოლთან“ არ უბურთავია და ისიც იმიტომ, რომ დაჯარიმებული იყო). არადა, ვინც ესპანეთის ჩემპიონატს თვალყურს ადევნებს, იცის, რომ ადრე კაპელომ ალბიონელი სათადარიგოებში ყურყუტით საკმაოდ გააწვალა. გუნდის პრეზიდენტი კალდერონი და სპორტული დირექტორი მიატოვიჩიც „ბექზთან“ თანამშრომლობის გაგრძელების მომხრენი არიან. მათი აზრით, დევიდ ბექემი „რეალისთვის“ უმნიშვნელოვანეს ძალას წარმოადგენს და მასთან ჩამოცილება არ ივარგებს. სამეფო გუნდი თავის ფეხბურთელს კონტრაქტის ორი წლით, ანუ 2009 წლის 30 ივნისამდე განახლებას სთავაზობს. თუ ასე მოხდა, ინგლისელი კარიერას პრაქტიკულად „ბერნაბეუზე“ დაასრულებს — 2009-ში 34 წლის იქნება.

თავად მობურთალი „რეალში“ დარჩენის წინააღმდეგი არ არის, ოღონდ არა ნებისმიერ ფასად — როგორც ეკონომიკური, ისე სპორტული თვალსაზრისით. სექტემბერში ალბიონელი გამუდმებით გაიძახოდა, აუცილებლად „ბერნაბეუზე“ უნდა დავრჩეო, ახლა კი ამაში სერიოზულად ეჭვობს. ეს ეჭვები კი არც მეტი, არც ნაკლები სამეფო თეთრების მწვრთნელად დონ ფაბიო კაპელოს მოსვლამ გამოიწვია. იტალიელმა ხომ მადრიდელთა ოდინდელ გალაქტიკოს „ბექზს“ ბოლო სამი მატჩის გარდა, ძირითადში მოხვედრა სანატრელი გაუხადა.

რაც შეეხება ფინანსებს, აქ შედარებით ნაკლები პრობლემებია გადასაწყვეტი. ინგლისელს ჯამაგირად 6 მილიონი ევრო აქვს, რის შენარჩუნებასაც „რეალი“ ახალი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაშიც ჰპირდება. ოღონდ კასტილიური გრანდი მისთვის ხელფასის მომატებას აღარ გეგმავს, დევიდი, რაული და რონალდო „ბერნაბეუზე“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეები არიან. ფინანსური პრეტენზიები ბექემსაც არ აწუხებს, თუმცა სპორტული თვალსაზრისით ნამდვილად უკმაყოფილოა. კაპელომ გუნდის სული და გული მოთამაშე სათადარიგოთა სკამამდე ჩამოაქვეითა, ინგლისელს კი „რეალის“ შემადგენლობაში თავისი ძველი ადგილის დაბრუნება და ბოლოს და ბოლოს რაიმე ჯილდოს მოგება სურს — მას შემდეგ, რაც 2003-ში „რეალის“ წევრი გახდა, დევიდს საერთოდ არანაირი ტიტული არ მოუგია.

პირად ცხოვრებას კი „ბექზი“ არ უჩივის. მადრიდმა ჩრდილოელი კაცი გულთბილად მიიღო, ესპანეთის მშვენიერი სატახტო ქალაქი დევიდმაც შეიყვარა და იქ ბედნიერად ცხოვრობს. ბექემის შვილები უკვე თითქმის ესპანელები არიან და მისი ჭირვეული მეუღლე ვიქტორიაც კი მადრიდს უკვე არანაირ პრეტენზიებს აღარ უყენებს. ამის ნათელი მაგალითი ის გახლავთ, რომ ვიქტორიამ და დევიდმა მადრიდში ახლახან ნაყიდი მშვენიერი სახლი საფუძვლიანად გააწყვეს — ვინძლო, ისინი კასტილიაში ერთი წლით კი არა, დიდი ხნით აპირებენ დარჩენას. ბოლო სიტყვა კი, რა თქმა უნდა, ბექემს ეკუთვნის...

ლადო ხომერიკი

ჰოლანდია

ერედივიზიონი. XIX ტური

ფეიენოორდი 1:1 პსვ

0:1 კოკუ (24), 1:1 ფანიტაია (38)

ტილბურგი 2:1 ექსელსიორი

0:1 სლორი (10), 1:1, 2:1 იმშო (82, 84)

გრონინგენი 0:1 სპარტა

0:1 ვან ბუერენი (64)

ტურის დანარჩენი მატჩები გვინ დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

პსვ	19	16	2	1	51:7	50
ალკმაარი	18	12	4	2	52:16	40
აიაქსი	18	12	2	4	43:19	38
ფეიენოორდი	19	11	3	5	38:35	36
ტვენტე	18	10	5	3	40:20	35
ჰერენვენი	18	9	2	7	32:25	29
გრონინგენი	19	8	3	8	28:36	27
ვიტესი	18	8	1	9	33:30	25
ნაიმეგენი	18	7	4	7	19:21	25
როდა	18	7	4	7	21:24	25
უტრეხტი	18	7	3	8	26:30	24
ბრედა	18	6	5	7	20:28	23
სპარტა	19	6	1	12	21:39	19
ექსელსიორი	19	4	4	11	26:38	16
ტილბურგი	19	5	1	13	20:46	16
ჰერაკლესი	18	4	3	11	15:35	15
დენ ჰააგი	18	3	3	12	20:34	12
ვალვაიკი	18	2	6	10	15:37	12

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXI ტური

ჰარტსი 3:2 ჰიბერნიანი

1:0 ჰარტლი (2), 2:0 იანკაუსკასი (49), 2:1 კილენი (54), 2:2 შილსი (61ბ), 3:2 მიკოლიუნასი (70)

აბერდინი 3:1 კილმარნოკი

1:0 მაგუაირი (6), 2:0 ნიკოლსონი (9), 3:0 ლოველი (87), 3:1 ნეისმიტი (89)

სელტიკი 2:2 დანდი იუნ.

0:1 რობერტსონი (17), 0:2 სამუელი (58), 1:2 ოდია (78), 2:2 ნაკამურა (80)

დანფერმლაინი 0:2 მოზერუელი

0:1 ფიცპატრიკი (26), 0:2 მაკდონალდი (79)

სენტ მირენი 1:0 ფოლკირკი

1:0 ლაპინი (67)

ინვერნესი — რეინჯერსი

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

სელტიკი	21	16	4	1	40:16	52
აბერდინი	21	11	4	6	29:18	37
რეინჯერსი	20	10	5	5	32:19	35
ჰარტსი	21	9	6	6	31:22	33
ჰიბერნიანი	21	8	5	8	40:28	29
კილმარნოკი	21	8	5	8	31:36	29
ფოლკირკი	21	7	3	11	24:28	24
მოზერუელი	21	7	3	11	28:37	24
დანდი იუნ.	21	6	6	9	24:36	24
სენტ მირენი	21	5	7	9	19:29	22
ინვერნესი	20	4	9	7	20:27	21
დანფერმლაინი	21	3	5	13	13:35	14

ედუარდო საუკეთესო

ბრაზილიაში დაბადებული ფორვარდი ედუარდო და სილვა ხორვატიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მან ქვეყნის წამყვანი გაზეთის „ვეჩერნი ლისტის“ გამოკითხვაში გაიმარჯვა. ვთქვათ ისიც, რომ მიჯრით სამი წელი ამ ჯილდოს „რეინჯერსის“ თავდამსხმელი დადო პრსო იგებდა.

ზაგრების „დინამოს“ 23 წლის ფორვარდმა წლეულს ხორვატიის ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. ინგლისთან მოგებულ (2:0) ეკრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის მატჩში მან ერთ-ერთი გოლი გაიტანა, ხოლო ისრაელთან 4:3 გამარჯვებაში ლომის წვლილი შეიტანა — — ჰეთ თრიქი შეასრულა. და სილვა ამჟამად ხორვატიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახლავთ 18 მატჩში გატანილი ამდენივე გოლით.

„დინამოში“ ალბათ კიდევ ერთი წელი მაინც დავრჩები, თუმცა თუ ასე თამაშს გავაგრძელებ, კლუბს ჩემი შენარჩუნება გაუჭირდება“ — თქვა ახალგაზრდა თავდამსხმელმა.

გიორგი კაკაბაძე

ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲐᲮᲐᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ

საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი იუმორთან რომ მწყრალად არაა, სპორტულ სამყაროში ყველამ მშვენივრად იცის. თავისი საქმის სპეციალისტი ტრადიციულ ქართულ დროსტარებაშიც გამორჩეულია და ამ სფეროს ღონისძიებების ლამის უცვლელი თამადის სახელიც მოუპოვებია. მუდამ ხალისიან კაცს გარშემომყოფთა გახალისების საოცარი უნარიც აქვს და საამისოდ ხშირად იმ სპორტულ კურიოზებს იხსენებს, რომლებიც ქართველ სპორტსმენებთან ყოფნისას გადახდენია. ქვემოთ კახაბრიშვილის მიერ მოთხრობილ რამდენიმე ისტორიას გთავაზობთ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲒᲣᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲣᲠᲐᲓ

2000 წლის ზაფხულია. ქართული დელეგაცია სიდნეის ოლიმპიადაზე მიემგზავრება. ზოგიერთმა სპორტსმენმა სპორტული ჩანთა პირდაპირ სალონში შეიტანა. ცოტა ხანში ჩანთებიდან სურსათ-სანოვაგის ამოლაგება დაიწყო. მოჭიდაველების მთავარი საფიქრალი ზედმეტი კილოგრამების დაკლება იყო და მხოლოდ თაფლით, კურაგითა და ქიშმიშით ვკვებავდით. ხოლო, ვისაც წონის პრობლემა არ აწუხებდა, შინიდან წამოღებული სანოვაგით იქცევდა თავს. მათ შორის ისეთი კერძებითაც, უცხოელებს რომ ვერაფრით გააგებინებ. ამის გამო საზღვრის გადალახვისას პრობლემები არცთუ იშვიათია. სიდნეის აეროპორტშიც დიდი ახსნა-განმარტებების შემდეგ დაგვრთეს ნება, ჩურჩხელა და ისპანახი შეგვეტანა. გვეგონა, ყველაფერი მოგვარდა, როცა უცებ ნარკოტიკებზე დაგეშილმა პატარა ძაღლმა ერთ ქართულ ჩანთასთან ყეფა ატეხა. სამართალდამცავებიც სწრაფად შემოგვეხვივნენ და...

ჩანთის გახსნა და ძაღლის წაქცევა ერთი იყო. ისეთი სუნი ამოვარდა, ერთ წუთში მთელი აეროპორტი შეწუხდა. ქართველებს გაგვეცინა, მაგრამ ახლა სანერვიულოდ ძაღლი გვექცა. მით უმეტეს, იქვე ვიღაცამ თქვა, ეს რომ მოკვდეს, 50 ათასი დოლარი საიდან მოვიტანოთო. ათი წუთი ძაღლს ვასულიერებდი. ხან ვურტყამდი, ხანაც ვეფერებოდი, ოღონდ თვალები გაეხილა. ბოლოს წამოდგა საწყალი და პოლიციელებმა სწრაფად გააცალეს იქაურობას. ჩვენ კი ახსნა-განმარტებმაც აღარ გვიშველა. ერთი კილო გუდის ყველის გულისთვის ყველა ქართული კერძი და ნუგბარი ჩამოგვართვეს.

ᲕᲘᲠᲗᲮᲐ

ჯარჯი ზვიადაურის საბერძნეთში გადასვლის შემდეგ ანალოგიური სურვილით საბერძნეთის საკონსულოს კიდევ რამდენიმე მსურველმა მიაკითხა, რომელთაც ბერძნულ ისტორიასა და კულტურაში ცოტა უჭირდათ. არადა, კონსულმა, პირველ რიგში ამაზე ჩამოუგდო სიტყვა. კარგა ხანს მარტო კითხვები ისმოდა — სამასი სპარტელი, ალექსანდრე მაკედონელი, ჰიპოკრატე, სოკრატე... მოპასუხეები დუმდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ, მაგრამ როცა კონსულმა არისტოტელე ახსენა, ერთ-ერთს სახე გაუნათდა. არიქა, გვეშველაო, იფიქრეს დანარჩენებმა იმან კი:

— ვიცი!!! არისტოტელე ვირთხას ჰქვია „უძინართა მზეში“.

ᲣᲘᲝᲒᲚᲝ ᲓᲣᲨᲔᲚᲘ

ქართული ჭიდაობის ტურნირებზე, აწონვის შემდეგ მოჭიდაველები საკვებ თანხას იღებენ ხოლმე. ერთხელაც, ის-ისაა აწონვა უნდა დაიწყოს, ერთი დუშელი ბიჭი მოვიდა და ხუთი ლარი მთხოვა, რაიონში წასასვლელი ფული არ მაქვსო. მოჭიდავეა, მაგრამ იმ ტურნირზე სულ არ აპირებდა ჭიდაობას. ვურჩიე, მოდი, აიწონე, საკვების ათი ლარი აიღე და წადი-მეთქი. აზრი მოეწონა. აიწონა და კენჭისყრის ბადეც შედგა. რომ გადავხედე, საკმაოდ იოლი მეტოქეები ჰყავდა. ვუთხარი, მოგებული ხუთას ლარს იღებს და ხომ არ იჭიდავებ-მეთქი.

მოკლედ, რამდენიმე საათში ნახერხზე გავიდა და პირველივე მეტოქემ ხელი მოსტეხა. თავი რომ აწია, ზურა რა მეშველებაო. მეც დავამშვიდე, საშიში არაფერია, რენტგენს ათი ლარი უნდა და ხომ აიღე-მეთქი.

ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲣᲐᲚᲝᲑᲐ

საზღვარგარეთული პუნქტუალობა მოგეხსენებათ. ავტობუსში ზუსტად დანიშნულ დროს თუ არ ჩაჯექი, ერთ წუთსაც არ გელოდება. ამას უკვე ქართველებიც მივეჩვიეთ, მაგრამ რამდენიმე თვის წინ ჩინეთში ჩატარებულ მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაღდ ქართულ პუნქტუალობას გადავეყარეთ. სასტუმროდან საჭიდაო დარბაზში მიმავალ ავტობუსში ავედით. ჩვენს გარდა, ტურნირზე სხვა დელეგაციების წევრებიც მოდიოდნენ. გასვლის დრო მოვიდა. ათი წუთიც გადაცდა, მაგრამ წვრილთვალება მძღოლი მაინც არ ჩქარობდა. განსაკუთრებით ფრანგები აღშფოთდნენ. მეც ავდექი, მძღოლთან მივედი და ვითომ ჩინურ ენაზე რაღაც დავუყვირე. მაშინვე დაქოქა. დღესაც ვერ გამიგია, ასეთი რა ვუთხარი. მეორე დღეს რომ დამინახა, თვითონ დამიქნია ხელი, წამოდიო.

ᲰᲘᲞᲜᲝᲖᲘ

სპორტში ხშირია ცრურწმენები. მწვრთნელები და ექიმები თითოეული სპორტსმენის ფსიქოლოგიას ვიცნობთ და უმეტეს შემთხვევაში ამას ეშმაკურად ვიყენებთ. ცხადია, ისევ და ისევ იმ სპორტსმენისთვის სასიკეთოდ. ზოგიერთს ტურნირის წინ უბრალო წყალიც რომ დაალევინო და უთხრა, ძალის მოსამატებელი სითხეაო, ძალა მართლა ემატება. ერთ სერიოზულ ტურნირზე, მწვრთნელმა მოჭიდავეს ვითომ ფიზიკურად, სინამდვილეში კი სულიერად მოსაძლიერებლად ტანზე რაღაც შეაზილა. ჩვეულებრივი მალამო სპორტსმენს დოპინგად შესაღდა.

თუმცა მსგავსი ფანდები ყოველთვის როდი ამართლებს. ისევ მოჭიდავეთა მაგალითს მოვიყვან. ხალიჩაზე გასვლის წინ მწვრთნელმა შეგირდი გაამხნევა, ახლა შენს მეტოქესთან მივალ, მთელ ენერგიას გამოვაცლი და შენ შეგმატებო. მოწინააღმდეგე მონღოლი იყო. მწვრთნელმა მას რამდენიმე წრე დაარტყა. თან ხელებით ჰიპნოზს უკეთებდა, საწყალს კინაღამ თვალები გადმოსცვივდა.

შეხვედრა დაიწყო. მონღოლმა ჩვენებური როგორც უნდოდა, ისე აბურთავა. საშინელ დღეში ჩავარდნილი წაგებული მწვრთნელს შემოსწყრა, ეს რა ჰიპნოზი გამიკეთეო.

ᲒᲐᲛᲓᲜᲐᲠᲘ ᲞᲠᲔᲖᲔᲠᲕᲐᲢᲘᲕᲘ

ათენის ოლიმპიადის ბოლო დღეებია. სპორტსმენთა უმეტესობას საქმე მომთავრებული აქვს და თბილისში დაბრუნებამდე დარჩენილ დროს ვინ როგორ ატარებს, ვინ როგორ. ოთახში ვსხედვართ და რაღაცას ვთამაშობთ. უცებ ერთმა კარი შემოაღო და პრეზერვატივი ითხოვა. არავის აღმოაჩნდა და ვურჩიეთ, სამედიცინო ცენტრში წასულიყო. იქ პრეზერვატივებითა და ათასნაირი საცხით თუ ყელეთი სავსე აკვარიუმები იდგა და ნებისმიერ-მსურველს შეეძლო, რამდენიც ... სოდ აეღო. სამედიცინო ცენტრამდე დაახლოებით ერთი კილომეტრი გვაცილებდა, მაგრამ გადატვირთული მოძრაობის გამო აშკარად ჯობდა, ფეხით წასულიყო. არადა, თერმომეტრი ორმოც გრადუსზე მაღალ ტემპერატურას აჩვენებდა.

ნახევარ საათში გახვითქული დაბრუნდა. შემოვიდა და რაც მოიტანა, მაგიდაზე დაყარა. ვიღაცამ გახსნა და ხელში ყელე შერჩა, მეორესაც იგივე, მესამესაც: მოკლედ, ყველა პაკეტში რაღაც ბლანტი სითხე აღმოჩნდა. მომტანმა კი თავი იმართლა, ისეთი სიცხეა, ალბათ გაღნაო.

ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ

საერთაშორისო ტურნირზე ერთი ჩვენი ძიუდოისტი შებოჭვაზე მოყვა მოწინააღმდეგე ზემოდან აწევს, ამას თავი ხაზს გარეთ აქვს და ოღნავ რომ გამოხოხდეს, მსაჯი ფეხზე წამოაყენებს. მე და შოთა ხაბარელი გამწარებული ვყვირით: გაეჭიდ! გაექეცი! არადა, მართლა უშანსოდაა, მიუხედავად იმისა, რომ მარჯვენა ხელი მთლიანად თავისუფალი აქვს.

გაქცევას მაინც ვთხოვთ, უცებ გაკვირვებული თვალებით ხაბარელს გამოხედა, მარჯვენა ხელი კარგი მსახიობივით შემართა და:

— კარგი რა, დიმიტრინ. შემოძხედე, აბა, მე აქედან გამქცევი ვარ?

ᲰᲘᲠᲡᲐᲮᲝᲪᲘ

წესია, მოჭიდავე ხალიჩასთან რომ გადის, მწვრთნელი პირსახოცით მიჰვება, შესვენებისას რომ შეამშრალოს. ერთხელ ჩვენს მწვრთნელს პირსახოცის გატანა დაავიწყდა. რაუნდი ჩამთავრდა და შეგირდს ხელი მიუსვ-მოუსვა. ხალიჩაზე შებრუნებული მოჭიდავე მსაჯმა უკან გამოაბრუნა, ოფლი შეიმშრალეო.

სხვა გამოსავალი რომ ვერ მოძებნა, მწვრთნელი იქვე დაგდებულ იმ ტილოს ეცა, ხალიჩაზე შესვლის წინ სპორტსმენები ფეხს რომ აწმენდენ.

ოფლი კი შეუმშრალა, მაგრამ იმ მოჭიდავეს მერე კარგა ხანს ბებერებზე ვმკურნალობდი.

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ზაზა ფაჩულიას არ ეჩქარება

საშუალო ორმაგი დუბლი და ოლ სტარი

თუკი გასულ წელს საქართველო სპორტში ვინმემ ასახელა, ერთ-ერთი პირველთაგანია ზაზა ფაჩულია. 22 წლის ახალგაზრდამ მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში დაიმკვიდრა ადგილი და „ატლანტა ჰოქსმა“ სეზონი მძლავრად რომ დაიწყო, ქართველ ცენტრს სხვებზე ნაკლებად როდი უნდა ემადლიერებოდნენ ჯორჯიელები. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფაჩულიას მთავარი საამსეზონო მიღწევა ოლ სტარის კანდიდატთა შორის მოხვედრაა. ზაზა დაასახელეს ნბა-ს იმ წამყვან მოთამაშეთა შორის, რომლებიდანაც ყველა ვარსკლავის მატჩის მონაწილენი უნდა შეირჩენ. ფაჩულიამ თავისი კარიერის მანძილზე არაერთი ოცნება აიხდინა და მიადგა ერთ-ერთ მთავარს — ოლ სტარში თამაშს, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია, მაგრამ მასავით მშრომელი და მებრძოლი სპორტსმენისთვის შეუძლებელი ნამდვილად არ არის. დღესდღეობით ყველაზე წარმატებულ ქართველ კალათბურთელს წინასაახალწლოდ ატლანტაში შევეხმიანეთ და მოედნის მიღმა ამბებზეც ვესაუბრეთ...



— წელიწადი მთავრდება და იმის დროა, რომ გარკვეული შეფასება გააკეთო...

— უკმაყოფილების საფუძველი ნამდვილად არ მაქვს, 2006 წელი საკმაოდ წარმატებული იყო ჩემთვის. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ წინასვლა აშკარაა და იმედი მაქვს, ეს პროცესი 2007-შიც გაგრძელდება.

— მიმდინარე სეზონზე რას იტყოდი? გაამართლა შენი მოლოდინი?

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. მე მაქსიმალისტი ვარ და თვითკმაყოფილი არასდროს ვიქნები, თუმც საკუთარ თამაშზე აუგი არ მეთქმის. გასულ სეზონთან შედარებით გუნდში მეტი ნდობა მაქვს როგორც მოთამაშეებისგან, ასევე მწვრთნელისგან. ჯერ ნახევარი სეზონიც არ გასულა, წინ უამრავი თამაში მელის და ჩემი მთავარი საზრუნავი აღებული ტემპის შენარჩუნება და შეძლებისდაგვარად მომატებაა.

— არც ახლა გაქვს ცუდი სტატისტიკა, მაგრამ ალბათ თვლი, რომ მეტი შეგიძლია...

— არ ვიცი, ამ სეზონში მოვახერხებ თუ არა, მაგრამ ჩემი მიზანია, „ატლანტასთან“ კონტრაქტის დასრულებისას საშუალოდ ორმაგი დუბლი მქონდეს — ვთქვათ, 15 ქულა და 10 მოხსნა.

— „ატლანტასთან“ 2007-2008 წლის სეზონის ბოლომდე გაქვს კონტრაქტი, თუმც ამერიკული პრესა უკვე ალაპარაკდა შენს ტრანსფერზე. ამას წინათ დაიწერა, ფაჩულიას მემფისელ პაუ გასოლში ცვლიანო...

— არ ვიცი, პირადად ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. მასე, ხშირად ლაპარაკობენ, მაგრამ...

— თქვი, გუნდში ახლა უფრო მეტად მენდობიანო. არადა, წინა სეზონისგან განსხვავებით, ახლა ცენტრის პოზიციაზე მეტი კონკურენციაა. შეიძლება ითქვას, რომ გუნდში ლორენც რაიტის მოსვლამ მეტი მოტივაცია შეგძინა?

— სწორედ ეგრეა, თუმც იმიტომ კი არ ვინდომებ, რომ მეშინია, რაიტმა ძირითადში ადგილი წამართვას — არა, უბრალოდ ძირითადის მოთამაშე ვარ და სათადარიგოზე გაცილებით სარგებლიანი უნდა ვიყო. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ლორენცი გუნდში ხუთეულში სათამაშოდ არ მოდიოდა და მეც კმაყოფილი ვიყავი ამით, რადგან შემცვლელი აუცილებლად მჭირდებოდა. მოედანზე ისეთი ბრძოლაა, რომ ყოველთვისაა დაშავების საფრთხე. თავად რაიტი ძალიან კარგი ბიჭია.

— სეზონის დასაწყისში თუკი რამეს უჩიოდი, ეს არასაკმარისი მოხსნები იყო. რატომ უკელი ამ კომპონენტში?

— სეზონი რომ დაიწყო, არ ვიყავი სათანადოდ მზად. ფიზიკურ მზადყოფნას არ ვგულისხმობ — ნბა-ში თამაშს სხვა სპეციფიკა აქვს და მეც 6 თვე რომ ვისვენებდი, თავიდან ადაპტაცია დამჭირდა. ახლა გაცილებით ბევრს ვხსნი, რადგან თამაშის ეშხში ბოლომდე შევედი.

— ყველაზე დასამახსოვრებელი რომელი მატჩი იყო ამ სეზონში?

— „ორლანდოს“ რომ მოვუგეთ შინ. პრესაში დაიწერა, რომ მე ამ გუნდის მკვლელი ვარ. ფლორიდელებს გასულ სეზონშიც მოვუგეთ და მაშინ მე გადამწყვეტი ბურთი ბოლო წამზე ჩავაგდე.

— „ატლანტას“ ახლა ჩავარდნა აქვს, თუმც სეზონი მოულოდნელად მძლავრად დაიწყეთ...

— პრესისთვის და ხალხისთვის იყო მოულოდნელი, თორემ ჩემთვის და ატლანტელებისთვის გასაკვირი არაფერი ყოფილა. სეზონისთვის კარგად მოვემზადეთ და შევთამაშდით.

— საამსეზონო მატჩების უმეტესობაში შენს უშუალო კონკურენტებზე უკეთესი მაჩვენებლები გქონდა. შეიძლება ითქვას, რომ უხერხული მეტოქე შენთვის აღარ არსებობს?

— შიშით არასდროს მითამაშია, თუმც პირველი ორი სეზონი შედარებით მორიდებული ვიყავი. ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა, ვის წინააღმდეგ ვთამაშობ — ყველა მეტოქეს თანაბარი სერიოზულობით ვუდგები. მოედანზე რომ გავდივარ, ვინც არ უნდა იყოს ჩემი მეურვე, მიზანი „ატლანტას“ მოგება და ჩემი ორმაგი დუბლია. ზაზა თავის კონკურენტს თუ აჯობებს, ეს მთლიანი გუნდის თამაშზე დადებითად მოქმედებსო — ამბობს „ატლანტას“ მწვრთნელი მაიკ ვუდსონი. უხერხული მეტოქეებიც, რა თქმა უნდა, მყავს — იაო მინი და დაუიტ ჰოვარდი.

— ჰოვარდი შენი კონკურენტი იქნება საოლსტარო გამოკითხვაშიც...

— ვინ იქნება მეტოქე, ამას უკვე ნაკლები მნიშვნელობა აქვს — მთავარია, რომ კანდიდატთა შორის მოვხვდი. ეს ჩემთვის უკვე დიდი წარმატებაა და ძალიან გახარებული ვარ. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, რომ რჩეულთა შორის მოვხდებოდი. თუ ოლ სტარშიც ვითამაშებ, ეს მთლად საოცარი იქნება.

— შანსებს როგორ შეაფასებდი?

— პირველად მოვხვდი კანდიდატთა შორის და, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იქნება ოლ სტარში

თამაში. ბლომად ქომაგები მყავს ორლანდოში, ატლანტაში, მილუოკიში და თავისთავად საქართველოში, მაგრამ ვიცი, რომ შანსი ძალიან მცირეა. თანაც ევროპელი ვარ და ეს ოლ სტარში მოხვედრას კიდევ უფრო ართულებს.

— რატომ?

— სტუდენტური ლიგიდან ვინც მივიდა ნბა-ში, იმათ გაცილებით მეტი მხარდამჭერი ჰყავთ ამერიკაში, ვიდრე ევროპელებს. თუნდაც ატლანტელი შელდენ უილიამსი ავიღოთ. ამ ახალგაზრდას სტუდენტური ლიგის ფინალში აქვს ნათამაშები და მთელი ამერიკა იცნობს. ცხადია, ის უფრო მეტ ხმას მიიღებს, ვიდრე მისი გაქანების, ან უფრო ძლიერი ევროპელი ცენტრი.

— შენს საოლსტაროდ მხარდაჭერად საქართველოში ფანკლუბი შეიქმნა...

— ეს ძალიან მესიამოვნა და დიდ მადლობას ვუხდი ჩემს თბილისელ მეგობრებს, რომლებმაც ითავეს ამ ფანკლუბის შექმნა. წლეულს მოულოდნელი იყო, რომ ოლ სტარის კანდიდატებში დამასახელებდნენ, თორემ უფრო ფართო სარეკლამო კამპანიის მოწყობა შეიძლებოდა. მომავალ წელს უფრო მობილიზებული ვიქნები. მალე ჩემი ვებ-საიტი გაიხსნება, რომელიც თავისთავად დამეხმარება საოლსტარო ხმების მიღებაში. თუ წლეულს ვერ მოვახერხებ ყველა ვარსკვლავის მატჩში თამაშს, გული არ დამწყდება. ჯერ 22 წლის ვარ და კიდევ მინიმუმ 10 წელი ვაპირებ თამაშს. ამ ხნის განმავლობაში თუნდაც ერთხელ რომ მოხვდე ოლ სტარში, კმაყოფილი ვიქნები.

— და მაინც, წლეულს მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევ?

— შაკილ ონილს, დუაიტ ჰოვარდს და ბენ ვოლესს. შაკს და ვოლესს იმხელა ავტორიტეტი აქვთ, რომ მათი ჯობნა საგმირო საქმის ტოლფასია. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკით ამ სეზონში ერთსაც ვჯობივარ და მეორესაც, ვფიქრობ, რომ მათზე გაცილებით ნაკლები შანსი მაქვს.

— რამდენიმე დღეში ახალი წელი მოვა და აღნიშნას როგორ აპირებ?

— აქ ახალი წელი პირობითი დღესასწაულია — აბა, როგორ უნდა აღვნიშნო, როცა 31-ში საღამოს თამაში გვაქვს. ჩემი ახალი წელი ზაფხულშია, თუ დასვენებასა და გართობის კუთხით მივუდგებით. მიუხედავად ამისა, მაინც აღვნიშნავ ახალი წლის დადგომას. რა თქმა უნდა, ისე ვერ მოვულხენ, საქართველოში რომ სჩვეოდათ, თუმც ტრადიციულ საახალწლო სუფრას ატლანტაში მაინც გავშლი. დედაჩემი აქაა და საცივს გააკეთებს, ხაჭაპურს გამოაცხობს, ჩურჩხელები გვაქვს შემონახული და მეტი რაღა გვინდა — მოკრძალებულ საახალწლო სუფრას ეყოფა.

— მეგობრებს არ დაპატიჟებ?

— არ ვიცი, გააჩნია, თუ ეცლებათ. ყველაზე ახლო მეგობარი „ატლანტაში“ ჯოშ ჩილდრესია და ალბათ მას მოვიწვევ.

— შენზე ამბობენ, რომ ნბა-ში ერთ-ერთი გემოვნებიანი ჩამცმელი ხარ. პირადი დიზაინერი ხომ არ გყავს?

— საკუთარი თავის დიზაინერი თავად ვარ. მომწონს, კარგად რომ მაცვია, თავს ასე უფრო კომფორტულად ვგრძნობ. მეორე წელია, „ატლანტაში“ ვარ და, როგორც ამბობენ, გუნდში ყველაზე კარგად ვიცმევ. ეს, ასე ვთქვათ, ჩემი ერთ-ერთი ჰობია.

— რომელი ფირმის სამოსს ანიჭებ უპირატესობას?

— „ადიდასთან“ მაქვს ხელშეკრულება, კლასიკური ჩაცმულობისას კი „ჯორჯო არმანის“ ვანიჭებ უპირატესობას. იტალიიდან მიგზავნიან კოსტიუმებს — სოლიდური ჩაცმულობა ნბა-ს ეტიკეტში შედის: თამაშზე აუცილებლად კოსტიუმებში გამოწყობილი უნდა მივიდეს გუნდის ყველა წევრი. ისე, ერთი პრობლემა მაქვს: ჩემი ზომის ტანისამოსის შოვნა პრობლემაა და ძირითადად სპეციალურად ვუკვეთავ.

— რა საჩუქარს ისურვებდი საახალწლოდ?

— ყველა საჩუქარი ძვირფასი იქნება. თუკი ნატვრაა, ძვირფას საჩუქარს ვისურვებდი, ამიტომ მირჩევნია, თავად მე დავისაჩუქრო თავი.

— საახალწლოდ რას უსურვებდი საკუთარ თავს და სრულიად საქართველოს?

— პირველ რიგში, მშვიდობას. მე აქ ერთი ახლობელი მყავს, რომელიც ერაყში იბრძოდა და მისი შემხედვარე კარგად ვხვდები რა საშინელებაა ომი. არც ერაყში და არც არსად აღარ ყოფილიყოს ომი და განსაკუთრებით ჩემს საქართველოში ყოფილიყოს მშვიდობა. კალათბურთელი ვარ და პირველ რიგში სპორტულ წარმატებებს ვისურვებდი. „სარბიელიდან“ ბევრი სასიხარულო ამბავი გამიგია, თქვენს გაზეთს ინტერნეტში ვკითხულობ და ვისურვებდი, 2007 წლის შემოდგომაზე საქართველოს საკალათბურთო ნაკრების A დივიზიონში ანაცვლება გეხარებინოთ ქომაგისთვის.

ირაკლი პერტაია



NBA რეგულარული ჩემპიონატი

კვირის მოთამაშეები

აღმოსავლეთი
მო უილიამსი (მილუოკი)



დასავლეთი
ჯოშ ჰოვარდი (დალასი)



ნბა-მ წინა კვირის (18-24 დეკემბერი) საუკეთესო მოთამაშეებად „დალასის“ მსუბუქი ფორვარდი ჯოშ ჰოვარდი და „მილუოკის“ გამთამაშებელი მო უილიამსი დაასახელა.

ვარსკვლავებით მოოჭვილ დასავლეთში ჰოვარდის ამორჩევა ცოტა მოულოდნელი იყო, მაგრამ რაკი მისმა გუნდმა კვირის სამივე თამაში მოიგო, ხოლო თავად ჰოვარდმა ამ გამარჯვებებში 22,7-ქულიანი, 4-მოხსნიანი და 2-2 ჩაჭრა-დაფარებიანი ნილი დაიდო, დასავლეთის რჩეულის მინიპრიზიც მას ერგო. რაც შეეხება მო უილიამსს, ისიც მეორე ეშელონის ვარსკვლავია, მაგრამ გასულ კვირას თავის გუნდს მანაც სამივე თამაში მოაგებინა, თავად კი საშკალოდ 25,7 ქულა, 8,7 მოხსნა და 6,7 პასი მოინაგრა, „მაიამისთან“ მატჩში 4-წლიანი კარიერის პირველი სამმაგი დუბლიც შეასრულა — 19 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი.

კვირის სიმბოლური ხუთეული: მო უილიამსი (მილუოკი), ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი), ჯოშ ჰოვარდი (დალასი), ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი), ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)

26 დეკემბერი

ვაშინგტონი 116:101 მემფისი
ვაშინგტონი: არენასი (31), ჯემისონი (26), ბატლერი (19)
მემფისი: ჯონსონი (23 ქულა, 10 მოხსნა), ეტკინსი (15)

ინდიანა 81:76 ჰიუსტონი
ინდიანა: ჰარინგტონი (23 ქულა, 14 მოხსნა), ტინსლი (17)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (19), ალსტონი (15), ბეტიე (14 ქულა, 10 მოხსნა)

დეტროიტი 92:91 ნიუ ჯერსი
დეტროიტი: ჰამილტონი (21), ვოლესი (21), პრინსი (17)
ნიუ ჯერსი: კარტერი (28), ჯეფერსონი (18)

მინესოტა 100:98 ჩიკაგო
მინესოტა: გარნეტი (26 ქულა, 14 მოხსნა), ფოი (25), ბლუნტი (18)
ჩიკაგო: გორდონი (27), ჰაინრიხი (19), ნოჩიონი (18)

იუტა 102:92 კლიპერსი
იუტა: ბუზერი (26 ქულა, 10 მოხსნა), ოქური (24 ქულა, 11 მოხსნა), უილიამსი (21)
კლიპერსი: ბრენდი (21), მაგეტი (19)

სან ანტონიო 107:114 მილუოკი
სან ანტონიო: დანკანი (25 ქულა, 12 მოხსნა), პარკერი (24 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ფინლი (15)
მილუოკი: რედი (36), უილიამსი (23)

დალასი 97:84 შარლოტი
დალასი: ჰოვარდი (27), ნოვიცკი (23)
შარლოტი: მორისონი (17), ვოლესი (16)

ფინიქსი 110:87 პორტლენდი
ფინიქსი: მერიონი (23), ბარბოსა (22), ბელი (18)
პორტლენდი: რენდოლფი (18 ქულა, 14 მოხსნა), ჯეკი (18)

დენვერი 116:105 ბოსტონი
დენვერი: აივერსონი (28 ქულა, 13 პასი), ბოიკინსი (28), ნახერა (16)
ბოსტონი: გრინი (18), ალენი (18), ჯეფერსონი (16 ქულა, 15 მოხსნა)

სიეტლი 102:94 ნიუ ორლეანი
სიეტლი: რიდნორი (27), უილკოქსი (22 ქულა, 10 მოხსნა), ალენი (21)
ნიუ ორლეანი: პარგო (23), მეისონი (21), ბრაიანი (16)

გოლდენ სტეიტი 116:97 ფილადელფია
გოლდენ სტეიტი: ბარნსი (25), დევისი (21 ქულა, 16 პასი), პიეტრუსი (17)
ფილადელფია: კერნი (25)

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკა			
ტორონტო	12	16	42,9
ნიუ იორკი	12	18	40,0
ნიუ ჯერსი	11	17	39,3
ბოსტონი	10	16	38,5
ფილადელფია	7	20	25,9
ცენტრალური			
დეტროიტი	18	8	69,2
კლივლენდი	15	11	57,7
ჩიკაგო	16	12	57,1
ინდიანა	16	14	53,3
მილუოკი	14	14	50,0
სამხრეთ-აღმოსავლეთი			
ორლანდო	17	12	58,6
ვაშინგტონი	15	12	55,6
მაიამი	13	14	48,1
ატლანტა	9	17	34,6
შარლოტი	7	20	25,9

დასავლეთის კონფერენცია

სამხრეთ-დასავლეთი			
დალასი	21	7	75,0
სან ანტონიო	21	8	72,4
ჰიუსტონი	16	12	57,1
ნიუ ორლეანი	11	16	40,7
მემფისი	6	23	20,7
ჩრდილო-დასავლეთი			
იუტა	21	8	72,4
დენვერი	15	10	60,0
მინესოტა	12	13	48,0
პორტლენდი	12	16	42,9
სიეტლი	12	17	41,4
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	19	7	73,1
ლეიკერსი	18	10	64,3
გოლდენ სტეიტი	15	15	50,0
საკრამენტო	11	14	44,0
კლიპერსი	11	16	40,7

რენო და მიშლენი 100 წლის წინაც იგებდნენ



წლეულს აღინიშნა უპირველესი საავტომობილო „დიდი პრიზის“ საუკუნოვანი იუბილე. რბოლა 1906 წელს შედგა საფრანგეთში, ლე მანის აღმოსავლეთით და ორი დღე გაგრძელდა.

ასი წლის წინათ მანქანები ტრაქტორებს უფრო ჰგავდა, გზები ძირითადად გრუნტის იყო, ხოლო თავად შეჯიბრებას გადარჩენისთვის ბრძოლა უფრო ეთქმოდა — მტვრიან, ქვებიან „ტრასაზე“ უმძიმეს პირობებში ეკიპაჟებმა ორივე დღეს ექვ-ექვსი საათი იჯახირეს. შეადარეთ ეს ახლანდელ საფორმულო საათნახევრიან „სპრინტს“.

იმ ურჩხულების მაქსიმალური წონა ერთი ტონა იყო, ძრავა — ოთხცილინდრიანი, 12 ლიტრი მუშა მოცულობითა და 120 ცხენისძალიანი სიმძლავრით, რაც 150 კმ/სთ სიჩქარის მიღწევის საშუალებას იძლეოდა.



1906

ავტორბოლები მანამდეც ეწყობოდა, პირველი 12 წლით ადრე ჩატარდა და ისიც საფრანგეთში. მისი ორგანიზატორი გაზეთ „ლე პეტი ჟორნალის“ ჟურნალისტი პიერ ჟირარი გახლდათ. პარიზსა და რუანს შორის 130-კილომეტრიანი მანძილის დაძლევისას გათვალისწინებული იყო სადილისთვის შესვენებაც.

იმდროინდელი რბოლები ახლანდელ მერალეთა შეჯიბრებების მსგავსად, უმთავრესად დასახლებულ პუნქტებს შორის ეწყობოდა, სტარტიც ანალოგიური იყო — ეკიპაჟები ცალ-ცალკე იწყებდნენ გარკვეული ინტერვალით. არცთუ იშვიათად უბედურ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი.

განსაკუთრებით ტრაგიკული გამოდგა 1903 წელს მოწყობილი პარიზ-მადრიდის რბოლა. მტვრიან გზებზე ცუდი ხილვადობის მიზეზით ბევრი მანქანა ხეს შეასკდა, ხოლო ზედ გზისპირზე გამოფენილი არაერთი მაყურებელი ბორბლების ქვეშ აღმოჩნდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სამთავრობო დონეზე გადაწყვეტილებით, რბოლა შუა დისტანციაზე, ბორდოში შეწყვიტეს.

ამ საშინელების შემდეგ ძირეულად შეიცვალა უსაფრთხოების პირობები — მაყურებლებისთვის დამცავი ბარიერები დააყენეს და ამასთან, შეჯიბრებებიც უკვე მცირედ დასახლებულ რაიონებში ეწყობოდა.

ერთი სიტყვით, 1906 წლის იმ ზეისტორიული მარათონისთვის, მრბოლ-მაყურებელთა უსაფრთხოების დონე ბევრად ამაღალდა. რბოლა, რომელსაც საფრანგეთის საავტომობილო კლუბის გრან პრი ეწოდა, 26-27 ივნისს შედგა. სარბიელად შეარჩიეს ლე მანის სიახლოვეს რამდენიმე სოფლის შემაერთებელი გზა, რომლის სიგრძემ 103 კილომეტრი შეადგინა. ეკიპაჟებს (მძღოლი და მექანიკოსი) ეს სამკუთხა „წრე“ ყოველდღე ექვს-ექვსჯერ უნდა გაევლოთ.

შეჯიბრებამ არნახული ინტერესი გამოიწვია. ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან საფრანგეთში ჩავიდნენ ავტოსპორტის ენთუზიასტები. მთელ რეგიონში ყველა სასტუმრო გადაჭედილი იყო, ქალაქში კი ბოქსების პირდაპირ გრძელი და საზეიმოდ მორთული ტრიბუნა მოაწყვეს.

სტარტი დილის ექვს საათზე იყო დანიშნული. 34 მანქანიდან 25 ფრანგული იყო, ექვსი იტალიური და სამიც გერმანული. ეკიპაჟები ბრძოლაში წუთნახევრიანი ინტერვალით მიდიოდნენ.

პრეისტორიული დიდი პრიზის მომგები ფერენც სიში და მისი „რენო“



თავიდან პოლ ბარასი იყო წინ, რომელმაც 103 კილომეტრის გავლას 52 წუთი მოანდომა, მაგრამ მესამე წრეზე მას უნგრელ ფერენც სიშის „რენომ“ გაასწრო და ბოლომდე აღარც დაუთმია ლიდერობა.

სიშმა პირველ დღეს დისტანცია 5 საათსა და 45 წუთში დააფარა და თითქმის ნახევარი საათით ჩამოიტოვა უახლოესი მდევარი ალბერ კლემანი. 17 მანქანა რბოლას გამოეთიშა, ხოლო დარჩენილები დახურულ პარკში შერეკეს, სადაც დღევანდელივით მათთან ნებისმიერი წამუშავება იკრძალებოდა.

სიში მეორე დილას კლემანზე წინა დღის 26-წუთიანი ჰანდიკაპით ადრე უნდა წასულიყო, მაგრამ „მონსტრი“ გაუჯიქდა და 11 წუთი ადგილიდან ვერ დაძრა, და თუმც ბოლოსწინა წრეზე უკანა რესორი გაუტყდა, ფინიშზე მაინც იმავე ნახევარი საათით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ფელიჩე ნაძაროს („ფიატი“), რომელმაც კლემანის გასწრება შეძლო, სულ კი საწვალებელი ბოლომდე მხოლოდ თერთმეტმა ეკიპაჟმა დაძლია.

თვით ლუი რენოს მექანიკოსმა სიშმა და მისმა მეწყვილე მარტომ თითქმის 1200 კილომეტრი 12 საათში, 14 წუთსა და 7 წამში გაიარეს 101,2 კმ/სთ საშუალო სიჩქარით.

სიშისა და მარტოს ასეთი ვეება უპირატესობით გამარჯვება უმთავრესად განაპირობა საბურავების ფირმა „მიშლენის“ რევოლუციურმა ტექნიკურმა სიახლემ.

იმ დროს ბორბლის მოხსნა აკრძალული იყო. ამდენად, გამსკდარი საბურავების შესაცვლელად მათ დანით ჭრიდნენ, ოდნავ ჩაფუშულ ახალს ამაგრებდნენ და ბერავდნენ. ამ პროცედურაზე თითქმის ხუთი წუთი იხარჯებოდა.

ძმების ანდრე და ედუარ მიშლენების გამოგონების გენიალურობა იმაში მდგომარეობდა, რომ წინასწარ გაბერილი საბურავი წამოცმული იყო ადვილად მოსახსნელ სარტყელზე და ერთიანად იცვლებოდა. ეს თითქმის ოთხჯერ სწრაფად, წუთსა და 15 წამში ხდებოდა. ამდენად, ადვილი წარმოსადგენია, რამხელა უპირატესობას მოუტანდა სიახლე რენოელებს „დანლოპის“ საბურავებიან მანქანებთან შედარებით, რომელთაგან ერთ-ერთს ქვაღორღიან გზებზე 17-ჯერ შეუცვალეს რეზინა.

1906 წლის რბოლა სამართლიანად ითვლება ავტოსპორტის კლასიკად არა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ყველაზე პირველი „გრან პრი“ იყო, აგრეთვე თავისი მასშტაბურობითაც — წრის სიგრძით, საერთო მანძილით და ხანგრძლივობით.

ეს იყო მიმზიდველი სანახაობა და ამასთან, კოლოსალური გამოცდა როგორც მრბოლებისთვის, ისევე ტექნიკისთვისაც.

ჟურნალ F1 RACING-ის მიხედვით

ვინ რას ელის საახალწლოდ

ახალი წლის წინ მეფორმულეებს უმთავრესად თავიანთ სამუშაოსთან დაკავშირებული სურვილების გარდა, ცხადია, სხვაც აქვთ.

ჯანკარლო ფიზიკელა („რენო“): „ჩემი შვილებისგან განსხვავებით, სანტა კლაუსის არ მჯერა, მაგრამ მეც უნდა მივყვე ტრადიციას. მინდა, ახალ სეზონში სანტამ საუკეთესო მანქანა მომცეს, დანარჩენს თვითონ გავაკეთებ.“

დევიდ კულჰარდი („რედ ბული“): „მინდა, რომ მიხაელ შუმახერმა გადაწყვეტილება შეცვალოს და რბოლებს დაუბრუნდეს.“

კიმი რაიკონენი („ფერარი“): „სურვილი მაქვს, დილით ჩემს გარაჟში „ფერარი 599 ფიორანა“ ვიხილო.“

რალფ შუმახერი („ტოიოტა“): „რა თქმა უნდა, დამდეგ წელს „ტოიოტასთვის“ და პირდად ჩემთვის უკეთესი შედეგის იმედი მაქვს, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია ჩემი ოჯახი — კორა და ხუთი წლის შვილი დავიდი. ის სკოლისთვის ემზადება. ჩემი სურვილია, მასთან, რაც შეიძლება, მეტი დრო გავატარო და ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დავეხმარო.“

ჯენსონ ბატონი („ჰონდა“): „რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს. საახალწლოდ ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები ჩამოვიღნენ. ახლა სხვა აღარაფერი მინდა. არ ღირს სანტასთვის პოდიუმის ან მოგების თხოვნა, ეს დამოუკიდებლად უნდა მოიპოვო.“

იარნო ტრული („ტოიოტა“): „მთავარია, ჩემი ოჯახისა და მეგობრებისთვის ყველაფერი კარგად იყოს. როცა ისინი ჯანმრთელები და ბედნიერები არიან, მეც ბედნიერი ვარ.“

რუბენს ბარიკელო („ჰონდა“): „მინდა ძალიან სწრაფი მანქანა, რომელსაც წლევანდელი საიმედოობა ექნება შენარჩუნებული.“

რობერტ კუბიცა („BMW ზაუბერი“): „ჩემთვის შობა ავსტრალიაში იყო, როცა გუნდისგან შესანიშნავი საჩუქარი მივიღე — ტოპ პილოტის ადგილი. ასე რომ, ჯერჯერობით მეტი სურვილი არ მაქვს.“

ვიტანტონიო ლიუზი („სკუდერია ტორო როსო“): „რა მინდა წითელ ველვეტის კოსტუმიანი დაბალი მოხუცისგან? რაც შეიძლება, მალე ვნახო ჩემი ახალი „ბავშვი“ — ბოლიდი STR2!“

ალექსანდრ ჟურცი („უილიამსი“): „ორი მაქვს — სანტასთვის და ჩემი გუნდისთვის. გუნდისგან მეტ სისწრაფეს და უფრო მაღალ შედეგებს ველი. სანტას კი მინდა, კლდეზე ცოცუისთვის ფეხსაცმელი ვთხოვო და კიდევ, რომ შეცვალოს თავისი მოსვლის გრაფიკი, თორემ სულაც არაა სასაცილო, როცა დილის ექვს საათზე შვილები სიხარულისგან შენს საწოლზე ხტიან.“

ყვანჯი, შაიბა, ყინული

ჰოკეი ქართულადაც ალაპარაკდება

ახალი წელი არა და 1 აპრილი რომ ახლოვდებოდეს, ინფორმაციას, რომელიც გუშინ რუსულ ინტერნეტგაზეთ „გაზეტა რუში“ გამოქვეყნდა, ცოტა სხვანაირად მივიღებდით, მაგრამ აპრილამდე ჯერ შორია, 1 იანვარი მოდის და ცნობამ იმის შესახებ, რომ მომავალი წლის თებერვალში საქართველოს ყინულის ჰოკეისტთა ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება, ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სრულად გთავაზობთ აღნიშნულ ინფორმაციას და დანარჩენზე, უკვე გაისად ვილაპარაკოთ.

„21-წლიანი შესვენების შემდეგ საქართველოში ჩატარდება ქვეყნის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს ჰოკეის ფედერაციის (სჰფ) პრეზიდენტმა დენის დავიდოვმა. ჩემპიონატი 2007 წლის თებერვალში დაიწყება და შესვენებებით წლის ბოლომდე გაგრძელდება. ტურნირში 5 გუნდი მიიღებს მონაწილეობას — 4 თბილისის და ერთი ბაკურიანის. საქართველოში ორი საციგურაო ფუნქციონირებს და ამათგან ერთი სწორედ თბილისშია, ხოლო მეორე — ბაკურიანში, დავიდოვის სიტყვებით, იგეგმება კიდევ რამდენიმე საციგურაოს მშენებლობა.

„1982-86 წლებში საქართველოში ტარდებოდა რესპუბლიკის ჩემპიონატი შაიბითან ჰოკეიში. მაშინ რამდენიმე საჩვენებელი ვარჯიში სახელგანთქმულმა მწვრთნელმა ანატოლი ტარასოვმაც ჩაატარა, ხოლო ერთ-ერთი პირველობის გახსნას ლეგენდარული ჰოკეისტი ანატოლი ფირსოვი დაესწრო. შემდეგ, მთელ რიგ მიზეზთა გამო ჩემპიონატები შეწყდა. ახლა ჩვენ გადავწყვიტეთ, ავაღორძინოთ ჰოკეი, მით უმეტეს, რომ საქართველოში ამ სპორტის მრავალი მოყვარულია — განაცხადა დავიდოვმა და დაამატა — უკვე მომზადებული გვაქვს საჭირო დოკუმენტები საიმისოდ, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციაში რომ გავწევრიანდეთ. ვფიქრობთ, რომ 2007 წელს ამ ორგანიზაციაში მიგვიღებენ და 2008 წლისთვის კი ვაპირებთ მონაწილეობა მივიღოთ მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 დივიზიონის შესარჩევ ტურნირში“. დავიდოვმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ საქართველოს ნაკრები გაძლიერდება იმ ახალგაზრდა ქართველი ჰოკეისტებით, რომლებიც ჩეხეთის, რუსეთისა და ყაზახეთის გუნდებში თამაშობენ. სჰფ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბოლო თვეებში ქართველ მწვრთნელებს კონსულტაციებს უტარებდა კანადელი სპეციალისტი პატრიკ ფრაიზერი, ვინც თავის დროზე კანადის იუნიორთა ნაკრების წევრი იყო.

დავიდოვის სიტყვებით, სჰფ-ს კონტაქტები აქვს სომხეთის ჰოკეის ფედერაციასთან და აპირებს თანამშრომლობას რუსეთის, უკრაინისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შესაბამის ფედერაციებთან. „ჰოკეის აღორძინების საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს წარსულში ცნობილი ჰოკეისტი კოტე ბახუტაშვილი, ვინც გასული საუკუნის 80-იან წლებში მოსკოვის ცსკა-ს სათადარიგო მეკარე იყო! — ხაზგასმით აღნიშნა დავიდოვმა და ისიც დაამატა, რომ ფედერაციის გეგმებშია თბილისში 3-ათასიანი ტრიბუნების მქონე ყინულის სასახლის აშენება.“

ვლადიმირ სპივაკოვი ოლიმპიელთა ელჩია

სოჭი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ბრძოლაში თავის „შეიარაღებას“ სულ უფრო ამდიდრებს. მიზნისკენ მიმავალ გზაზე „სოჭი-2014-ის“ საგანაცხადო კომიტეტმა შეიმატა კიდევ ერთი საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება, მევიოლინე და დირიჟორი ვლადიმირ სპივაკოვი, რომელიც სოჭის ოლიმპიური ელჩი გახდა.

„სოჭის განაცხადისთვის რუსეთის სახელგანთქმული კლასიკური მუსიკოსის მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — ამბობს „სოჭი-2014-ის“ საგანაცხადო კომიტეტის პრესსამსახურის წარმომადგენელი — სპივაკოვს, რომელმაც თავის პირველ კონკურსზე 13 წლისამ გაიმარჯვა, სჯერა, რომ სოჭის ოლიმპიადა ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ტალანტების განვითარებას როგორც სპორტში, ისე მუსიკაში.“ თავად სპივაკოვმა ოლიმპიურ ელჩად მისი დანიშვნის თაობაზე კომენტარისას თქვა:

„მე მთელი სულით და გულით მხარს ვუჭერ ზამთრის ოლიმპიადის სამასპინძლოდ სოჭის განაცხადს, რადგან მე, როგორც არავინ, ვიცი, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარ მოვლენებს. რუსეთში კლასიკური მუსიკის უდიდესი განვითარების დონე ბევრადაა განპირობებული საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობით, რაც ახალგაზრდებს დიდ სტიმულს აძლევს. დარწმუნებული ვარ, რომ იგივე ხდება სპორტშიც. ზამთრის ოლიმპიადა ჩვენი ქვეყნის სპორტის განვითარებას უთუოდ წაადგება“.

ოდონდაც, სოჭის საგანაცხადო კომიტეტს ზალცბურგოთან და პინჩანთან ბრძოლაში საეჭვოა, რომ თვით სპივაკოვი დაეხმაროს, თუ რუსეთში იმგვარი „დემოკრატია“ გაგრძელდა, როგორიც ახლაა.

ავთანდილ ჭყვიშელი

რეგულარული ჩემპიონატი

ნუ გააბრაზებთ ბუფალოს

ოციოდე დღის წინ „ვაშინგტონმა“ აღმოსავლეთ კონფერენციის უპირობო ლიდერ „ბუფალოს“ უმასპინძლა და მოულოდნელად იოლადაც გაუმკლავდა. იმ შეხვედრაში კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი მოხდა — ალექსანდერ ოვეჩკინი ძალიან უხეშად ეთამაშა „ხმლების“ ლიდერ დანიელ ბრიარს და კინაღამ სერიოზული ტრავმითაც „დაასაჩუქრა“.

იქიდან მოყოლებული, როგორც ჩანს, ბუფალოელები კბილებს ილესავდნენ დედაქალაქელებზე და ვენდეტასთვის გამალებით ემზადებოდნენ. გუშინ ეს დროც დადგა — „ხმლებმა“ სპორტულად იძიეს შური და საწყის თერთმეტ წუთშივე მოათავეს საქმე, როცა ექვსჯერ უპასუხოდ და ძალიან მწარედ „უჩხვლიტეს“ სტუმრებს.

შემდეგ მასპინძლები მხოლოდ ისვენებდნენ, „ვაშინგტონმა“ კი სამი გოლი გაიტანა და ანგარიში ოდნავ შეამცირა. მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთი შაიბა ოვეჩკინმა შეაგდო, რაც მისთვის სეზონში 25-ე გამოდგა და ახლა რუსი სნაიპერთა სიას ჩაუდგა სათავეში.

მორიგი, თან თავისთვის ძალიან პრინციპული შეხვედრა მოიგო „ანაჰაიმმა“, რომელმაც თანადავიზონელი „სან ხოსე“ დასცა და ლიდერის პოზიცია გაიმყარა. თუმცა ეს გამარჯვება „იხვებს“ ძალიან ძვირად დაუჯდათ, რადგან ძირითადი მეკარე ჟან-სებასტიან ჟიგერი დაემტვრათ — იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „ანაჰაიმის“ მეორე მეკარე ილია ბრიზგალოვიც ლაზარეთშია, შეიძლება ითქვას, რომ გუნდი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია, რადგან 21 წლის მაიკლ უოლის იმედზეა დარჩა.

კარიერაში 85-ე შათაუთი გაახერხა მარტინ ბროდომ და ამ მაჩვენებლით ყველა დროის კიპერებს შორის მესამე საფეხურზე დამკვიდრდა, გადაასწრო რა გლენ ჰოლს. „ნიუ ჯერსის“ მეკარემ ამჯერად „პიტსბურგელი“ ჯეელები დატოვა ნულზე. არადა, ამ მატჩამდე სიდნი კროსბი ზედიზედ 10 მატჩი უქულოდ არ ტოვებდა ყინულს, მაგრამ ბროდოს მაინც ვერაფერი მოუხერხა.

ნულზე კიდევ ერთმა მეკარემ, რიკ დიპიეტრომ ითამაშა, რომელმაც თავი ნიუიორკულ დერბიში გამოიჩინა და „აილენდერსს“ თანაქალაქელები სეზონში მესამედ დაამარცხებინა. „რეინჯერსის“ წაგებათა სერია კი გრძელდება და უკვე ექვსს მიაღწია.

შეწყდა „კალგარის“ შთამბეჭდავი სერიაც — „ალებს“ სახლში აქამდე ზედიზედ ათჯერ მოეგოთ, მაგრამ ამჯერად „ვანკუვერს“, უფრო კი მის კარის დარაჯ რობერტო ლუონგოს ვერაფერი მოუხერხეს. ამ უკანასკნელს შათაუთის გაკეთებაც შეეძლო, მაგრამ მასპინძლებმა ბოლომდე გახარების საშუალება არ მისცეს და უკანასკნელ წუთზე ერთი შაიბა მაინც გაუტანეს.

„მინესოტას“ გასვლითი გამარჯვების გემო დაავიწყდა — სტუმრად ზედიზედ მეცხრედ დამარცხდა. „ველურებმა“ ვერც ტრავმებისგან განაწამებ „ტორონტოს“ მოუხერხეს რამე.

კახა ლომაშვილი

კვირის ვარსკვლავები

ნჰლ-ში გასული კვირის ვარსკვლავები დაასახელეს და სეზონში პირველად მოხდა, როცა საუკეთესოებში ორი მეკარე და მხოლოდ ერთი თავდასხმელი მოხვდა.

პირველი ვარსკვლავობა „ბოსტონის“ კარის დარაჯ ტიმ ტომასს ერგო. მიუხედავად იმისა, რომ 32 წლისაა, ტომასი პირველ სრულფასოვან სეზონს ატარებს ლიგაში და ჯერჯერობით მშვენივრადაც უმკლავდება თავის მოვალეობას. გასულ კვირას ტომასის ჩაუქობით „დათვები“ კანადური გუნდების რისხვად იქცნენ და ზედიზედ დაამარცხეს „ოტავა“, „ვანკუვერი“ და „მონრეალი“. „ბოსტონის“ მეკარე ამ შეხვედრებში საშუალოდ 1,33 გოლს უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 95,9 პროცენტს იგერიებდა.

მეორე ვარსკვლავობა „სენტ ლუისის“ კარის დარაჯმა მენი ლეგასიმ დაისაკუთრა, რომელზეც კარგად იმოქმედა გუნდში ენდი მიურეის მისვლამ. ლეგასიმ ტომასის მსგავსად სამი მატჩში იმარჯვა და სტატისტიკაც შთამბეჭდავი ჰქონდა — 1,69 გოლს უშვებდა და 93 პროცენტს იგერიებდა.

„ტამპას“ ჯახირის მიუხედავად, დიდებული სეზონი აქვს ვენსან ლეკავალიეს, რომელმაც გასულ შვიდდღეულშიც გამოიჩინა თავი და სამ გოლს ამდენივე შედეგიანი გადაცემა მიაყოლა. შედეგად ფლორიდული გუნდის ლიდერი ბომბარდირთა დავაში მეხუთე ადგილზე დამკვიდრდა.

კახა ლომაშვილი

აფროსნებმა ედვარდ სურმანიძე შეაცდინეს

გურამ ბიგანიშვილს პრეზიდენტობას პეკინის ლიცენზია ურჩევნია

ედვარდ სურმანიძემ აფროსანთა თავკაცობა იკისრა

აფროსანთა ერთი ნაწილის აზრით, სპორტის ეს ულამაზესი და რომანტიკული სახეობა საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს, თუმც სულს ღაფავს. ამიტომ, სანამ სიცოცხლის ნიშანწყალი კიდევ ეტყობა, მის რეანიმაციაზე უნდა ვიფიქროთ. მეორენი ფიქრობენ, რომ აფროსნობა ჩვენთან კარგა ხნის მკვდარია.

ასე თუ ისე, საჭიროა მთელი ძალებისა და რესურსების თავმოყრა, რათა საქართველოში აფროსნობა აღორძინდეს. ამიტომაც ძველი თაობა შევიკრიბეთ, რომ ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

ეს ითქვა გუშინ საქართველოს სპორტის დეპარტამენტში გამართულ საქართველოს აფროსანთა ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო სხდომაზე, სადაც ოცამდე ვეტერანი ძლივს მოგროვდა. მათი კამათის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საქართველოში თავად აფროსნების მეტს ეს საქმე არავის აინტერესებს. როგორც გაირკვა, უკვე ჭარმაგი და ამ ასაკს მიახლოებული ვეტერანი აფროსნები, რომლებიც თავთავიანთ სპეციალობებში საკმაოდ ცნობილი და ავტორიტეტულნი არიან, თურმე რამდენიმე წელიწადია, რაც კარდაკარ დადიან და გავლენიან კაცს ეძებენ, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტობას და პატრონობას ანდობდნენ.

— როგორც კი ასეთ პიროვნებას შევიგულებდით და იგი ამ სახეობის გაჭირვებას გაიგებდა, უმალ ხელებს ასავსავებდა — თქვეს აფროსნებმა.

ეს ოლიმპიური სახეობა რომ მგონი მართლაც არავის ანაღვლებს, იქიდანაც ჩანს, რომ გუშინდელ თავყრილობას ჩვენი სპორტის მესვეურთაგან არავინ დასწრებია მაშინ, როცა სხვა სახეობების მსგავს სესიებსა და პლენუმებს არ აკლდებიან. არადა, ჩვენს ვეტერან აფროსანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გურამ ბიგანიშვილს, რომელიც გუშინდლამდე ფედერაციას რვა წლის განმავლობაში პრეზიდენტობდა და ამ სახეობაში თავის დროზე იყო ევროპის ჩემპიონი (1984), ორ-ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, თასის მფლობელი, ბარსელონისა და ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (შესაბამისად, მე-13 და მე-16 ადგილები), პეკინის ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება განუზრახავს. ამბობს, საქართველოდან ამგვარი მიზნის მიღწევა ორი ეეიპაჟის წევრებს შეგვიძლიაო. ამიტომ და სხვა მიზეზთა გამოც გურამ ბიგანიშვილმა პრეზიდენტობაზე ხელი აიღო და თავისი მემკვიდრის ძებნას სხვებთან ერთად შეუდგა. აქამდე როგორ დასრულდა მათი მცდელობა, ზემოთ მოგახსენეთ, ბოლოს კი, როგორც გაირკვა, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ წევრი, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ედვარდ სურმანიძე დაიყოლიეს, თუმცა გუშინდელ არჩევნებს იგი არ დასწრებია. როგორც იქ ითქვა, ედვარდ სურმანიძე შეუძლოდ ყოფილა, მაგრამ, რაკი მისგან აფროსნობის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის თაობაზე მტკიცე თანხმობა ჰქონდათ, ხოლო ამ პოსტზე სხვა კანდიდატურა არც ყოფილა, იგი აფროსანთა საჭეთმპყრობელად ერთხმად აირჩიეს.

1964 წელს დაბადებულ ედვარდ სურმანიძეს მრავალ თანამდებობაზე უმუშავია, აფროსანი და საერთოდ სპორტსმენი კი არ ყოფილა, თუმცა ეს მეორეხარისხოვანია. მთავარი ისაა, თავისი გავლენით როგორ დაეხმარება აფროსნობას. ყოველ შემთხვევაში, ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო და აფროსნებიც თავისას ცდილობენ, რის შედეგადაც საქართველოს აფროსნობის ფედერაცია, რომელიც შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციიდან 2600 ევროს საწევროს გადაუხდელობის გამო ათი წლის წინათ გარიცხეს, დიდი ხვეწნა-მუდარით კვლავ იმ დიდ ოჯახში დაბრუნეს და ძველი ვალიც აპატიეს.

ავთანდილ ბჟყვიშელი

AFP



ნიკოლაი ვალუევი სპარინგ-პარტნიორის გარეშე დარჩა

მძიმე ჩხუბი

საშობაო და საახალწლო დღესასწაულები გადაივლის და პროფესიულ კრივში ყველაფერი ძველებურ კალაპოტში ჩადგება — პრომოუტერები თავიანთი კლიენტებისთვის ახალ-ახალი ბრძოლების გაჩარხვაზე იზრუნებენ, მოკრივეები კი ვარჯიშსა და ამ ბოლო დროს უკვე ტრადიციად დამკვიდრებულ ენის ჭარტალს გააგრძელებენ.

ამერიკელ მძიმეწონოსან ჯამილ მაკლაინი კი არ დღესასწაულების გასვლას დაელოდა და პირი უკვე მოაღო. არც გაემტყუნება — ამ კაცს 20 იანვარს ნიკოლაი ვალუევთან მოელის რინგზე გასვლა და ცდილობს, აქედანვე გაიმაგროს გული, ან ზეიმების წინ მეტოქე ცუდ ხასიათზე დააყენოს.

WBA-ს ვერსიით ჩემპიონი რუსისთვის ეს ტიტულის უკანასკნელი ნებაყოფლობითი დაცვა იქნება და მერე მხოლოდ სავალდებულო პრეტენდეტებთან მოუწევს ბრძოლა. ასე რომ, მაკლაინი თავად რუსის არჩევანია და ამ ორთაბრძოლიდან სპეციალისტებიც ბევრს ელიან.

ეს ხომ ნამდვილი გოლიათების ჯახი გამოვა. ვალუევის გაბარიტები ყველას მოგეხსენებათ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ — 213 სმ და დაახლოებით 150 კგ. მართალია, მაკლაინი რუსს ვერ შეედრება, მაგრამ კრივის საზომებით არც ამერიკელია პატარა — 198 სმ და 125 კგ. მოკლედ, ბაზელის რინგზე რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდება, რადგანაც ასეთი წონის მოკრივეები აქამდე ერთმანეთს არასდროს დაჯახებიან.

მაკლაინი ყველაზე დიდი და მძიმე მოწინააღმდეგეა, ვისაც ვალუევი შეხვედრია და წესით, აქ რუსის გაბარიტების უპირატესობა იმდენად არ უნდა გამოჩნდეს. როგორც ჩანს, მაკლაინსაც ამის იმედი აქვს:

„ამ „დიდ ბიჭ“ ვალუევს გავანდგურებ. აქ სალაპარაკოც არაფერია. მთავარი სისწრაფე იქნება, ამ მხრივ კი უპირატესობა მე მექნება“ — განაცხადა მაკლაინმა, რომლისთვისაც ეს ტიტულისთვის ბრძოლის ბოლო შანსი იქნება. აქამდე ამერიკელმა 2002 წლეს ვლადიმირ კლიჩკოსთან, 2004-ში კრის ბერდთან წააგო.

ვალუევს ასეთებიც მოუსმენია და უარესიც, მაგრამ ჯერ ერთხელაც არ დამარცხებულა. თუმც რუსს ერთი პრობლემა მაინც აქვს — მას სპარინგ-პარტნიორი გაექცა, რადგანაც ვარჯიშისას ერთი-ორჯერ „შემთხვევით“ დაანოკაუტა. ხოდა, აბა, ასეთ პირობებში ვინ გაძლებდა. შედეგად რუსი სრულფასოვნად ვეღარ ვარჯიშობს.

თუ ეს ორი გოლიათი მომავალი ბრძოლით ცოცხლობს და არსებობს, ევანდერ ჰოლიფილდს ისიც ვერ გაურკვევია, საერთოდ კიდევ იჩხუბებს თუ არა — თვითონ ამერიკელს რინგზე დარჩენა და აბსოლუტური ჩემპიონობა (მის გარდა საეჭვოა, ვინმეს სჯეროდეს) კი უნდა, მაგრამ მაყურებელს, უბრალოდ აღარ უნდა ჰოლიფილდის ყურება.

ჰოლიფილდის შანსად შეიძლება, მონტე ბარეტი იქცეს, რომელიც მზად ყოფილა 44 წლის ვეტერანთან საბრძოლველად. თან ბარეტი მაყურებელს საინტერესო ჩხუბს ჰპირდება:

„იმედი მაქვს, ჩვენი პრომოუტერები შეთანხმდებიან. ჰოლიფილდს სჭირდება თავისი ძალების მოსინჯვა და ამ შანსს ვთავაზობ. ის ძველი მეომარია და არ უყვარს აქეთ-იქით სირბილი, რაც მაყურებელს კარგ სანახაობას ჰპირდება“ — განაცხადა ბარეტმა.

ამასობაში ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა — ფაროიდ რეკლამირებული, ქალრების გამაჯერთიანებელი ბრძოლა ოლეგ მასკაევსა და ვლადიმირ კლიჩკოს შორის, სავარაუდოდ, აღარ შედგება. ამის მაგივრად უკრაინელს ტიტულის სავალდებულო დაცვა 10 მარტს რეი ოსტინთან მოუწევს. მასკაევის მომავალ გეგმებზე კი ჯერჯერობით არაფერი თქმულა.

კახა ლომაშვილი

სპორტმედიცინამ წლის დიაგნოზი დასვა

გუშინ საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციამ 2006 წლის შემაჯამებელი სესია გამართა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯი-პი-სის“ ოფისში მოწყობილ ტრადიციულ ყოველწლიურ სესიაში სპორტში მოტრიალე მედიკოსები მონაწილეობდნენ. ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ კახაბრიშვილმა და ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი ახალკაცმა იმ სამუშაოზე ისაუბრეს, რომელიც სპორტული მედიცინის დარგში ბოლო ერთ წელიწადში შესრულდა, ამასთან, სამომავლო გეგმებიც ახსენეს.

გასული წლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს დაფუძნება იყო. ამ თემაზე მოხსენება სააგენტოს თავმჯდომარემ პავლე კასრაძემ გააკეთა. სესიაზე მისულთ გაზეთ „მედიცინის“ ახალი ნომერი დაურიგდათ. იგი მთლიანად სპორტულ მედიცინას ეძღვნება. სესიის ბოლოს კი ასოციაციის ხელმძღვანელებმა ბოლო წლებში დანერგილი ერთი ტრადიციაც გაიხსენეს. სპორტული მედიცინის დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ვეტერანი და მოქმედი მედიკოსები დაჯილდოვეს. საპატიო სიგელი და სამახსოვრო პრაზები სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ ელგუჯა ბერიშვილსაც გადასცეს.

ოთარ მაღლაკელიძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოძრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფრაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარაოვა, ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge